საერთო გაზეთი

№3 (461) • 31 იანვარი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ადამიანი-მაიმუნები“, „მოლაპარაკე თხები“ და უსამშობლო თაობის სინდრომი

კობა არაბული:

ჩემო ძმაო, ბატონო ვახტანგ! მადლობა ამ წერილისთვის, „საერთო გაზეთში“ რომ დაბეჭდე! („ჰენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა“) იმდენად გეთანხმები და ვიზიარებ, რომ ჩემი დაწერილი მგონია... იგი უეჭველად უნდა წაიკითხოს საზოგადოების ჯანსაღმა/გონიერმა ნაწილმა და გამოხატოს თავისი პოზიცია, უნდა წაიკითხოს და შეისმინოს ხელისუფლებამაც, თორემ, თუ არაფერს წაიკითხავ და შეისმენ, ვერ გაიგებ, რა უჭირს შენს ქვეყანას.

ომში ვართ დღეს ჩვენ, სახიფათო და ბედისწერულ ომში. მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს ბედისწერა მრისხანე, აჯანყებული სიტყვის მეოხებით. მხოლოდ სიტყვა რჩება იარაღაყრილი ერის მახვილად და ფარად...

თავის დროზე, ჯერ კიდევ რომის, ასეთი რამ თქვა ნაპოლეონმა: „ერთი გაზეთი მირჩევნია ათ გენერალსო“...

მეც მირჩევნია ერთი გაზეთი, (ამ შემთხვევაში „საერთო გაზეთი“) ათ გენერალს და იმ პრეზიდენტ-მთავარსარდალს, რომელიც ჩვენს ბედკრულ ქვეყანას არგუნა განგებამ! მირჩევნია, მით უფრო, თუ არ გაგაჩნია არც ჯარი და არც გენერალი!..

●

ჯერ კიდევ „მგზავრის წერილების“ პერსონაჟმა რუსმა პოდპორუჩიკმა იცის, რომ ქვეყანა ფასდება მწერლით და კარგი გენერლების ყოლით!

ის უვიცმა ჩინოვნიკმაც იცის, რომ ვერ მოიგეს ზნეობრივ ომს, თუ ჭეშმარიტი მწერალი არ გყავს.

ვერ მოიგებ ვერც ბოროდინოს და ვატერლოოს (და ვერც დიდგორს!) თუ ნამდვილი გენერალი არ გყავს!

ჩვენმა ლიბერასტმა-ნაცისტებმა ერის ზნეობრივი და სამხედრო სივრციდან განდევნეს ორივე – ჭეშმარიტი მწერალიც და გენერალიც!

მწერლები გააძევეს ისტორიული სახლიდან, წაართვეს ყოველგვარი საარსებო და სახელოვნებო პირობა და სამათხოვრო ტაბაკზე დასვეს – მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა და ქონება ნაცების მიერ იქ შეყვანილმა ბორდმა (თუ ბორდელმა) გაანადგურა/გააჩანაგა!..

გენერლები და ოფიცრები კი მოღალატეებად გამოაცხადეს და გაასამართლეს... ანდა, ჩახოცეს!..

„ნაცების“ ხელისუფლებას, რომელიც ბედისწერამ არგუნა ქართველ ხალხს, სამწუხაროდ, არ სჭირდებოდა არც მწერალი და არც გენერალი, რადგან მიზანმიმართულად ანადგურებდნენ ერის სულიერ სივრცეს და ისტორიულ ცნობიერებას (ვინაიდან სირეგვნე ვერ ითავსებს გონიერებას და მწერლის ნიჭს!), სატელიტი პროვოკატორი პარტიები და არასამთავრობოები თავიდანვე მწერლობას და ეროვნულ ცნობიერებას დაუპირისპირდნენ...

მათ არ სჭირდებოდათ არც გენერალი, ვინაიდან სრულიად გააზრებულად უომრად (და მოღალატურად) აბარებდნენ მტერს საკუთარ მიწა-წყალს!..

მათ სჭირდებოდათ კლანი, გენმოდიფიცირებული (გამოყვანილი) მწერლები, ისეთები, როგორიც შექმნეს: ჰიბრიდული – ლიბერასტულ-ლესბოსურ-ნუდისტური მატერიის (პლაზმის) ნაჯვარი – მწერალს მიმგვანებული არსებანი, „მოლაპარაკე თხები“, „ჰომო-ნოვუსები“...

რა თქმა უნდა, ჰგვანან ისინი პროლეტ-კულტისდროინდელ წარმოაქმნ დამსმენ (ჩამშვებ), საკუთარი სამშობლოს და მშობლების გადამგდებ ჯალათ მჯდაბნელებს...

მაგრამ საგანგებოდ უნდა ითქვას: დღევანდელი ჰიბრიდული მწერლური წარმონაქმნი სულ სხვა მოვლენაა, შერწყმული გლობალურ-რობოტიზებულ დროსთან და დალესისეულ (და სხვა მასონური ლოჯისტიკის) გამაოგნებელ სატანისტურ დოქტრინებთან, რომელიც გულისხმობს ადამიანში ხვთიური ბუნების წაშლას, ადამიანისთვის მორალის გამოცლას, რწმენის, იმედის, სიყვარულის წართმევას. ანუ მის გადახრას ნეანდერტალელი „მაიმუნის“ ფსიქოლოგიისკენ, მახსოვს, 60-იანი წლების ბირჟის ბიჭები ასეთ ტექსტს მღეროდნენ: „ლომი ღრიალებს, ლომი ღრიალებს, თავისუფლებას დავიბრუნებო, /ადამიანის გაჩენისათვის/ დედას გიტირებთ, მაიმუნებო!?“ – მაშინ ლომი მაიმუნებს ემუქრებოდა ადამიანების შექმნისთვის, ახლა ადამიანს არავინ ემუქრება კვლავ გამაიმუნებისთვის...

●

ჩვენ არ ვიცით, როგორ მოხერხდა მაიმუნის ქცევა ადამიანად დარვინის ცნობიერებაში, მაგრამ მე ვხედავ, როგორ შეიძლება ადამიანის გამაიმუნება (ან გადინოზავრება) პარლამენტარი ნაცების და მათი სატელიტი არასამთავრობო ენჯეოთა ქცევისა და „მორალის“ მაგალითზე. როგორ დახტის ღობეზე მაიმუნივით სრულიად უმწიფარი ქალბატონი (ნაციონალების სახე) გაურკვეველ პოლიტიკურ ფსიქო-მოდელად ჩამოყალიბებული და როგორ იქცევა თითქოს დინოზავრის კვერცხიდან ახალგამოჩეკილი ნაყოფი (მელია!), რომელიც ხუთივე თითს და ცხვირსაც პირდაპირ სახეში სჩრის ქვეყნის პრემიერს პარლამენტის დარბაზში...

●

რატომ და როგორ უბრუნდება ადამიანი ასეთ ველურ, ვულგარულ, ამორალური ქცევის წესებს (ნორმებს)?!

რატომ და ვის მიერ, რა ენერგიების ძალით ხდება მისი სტიგმატიზირება და ზომბირება?

რატომ მიიქცა XXI საუკუნის ადამიანი „ველური სიშიშვლის“ თავისუფლებისკენ?

რატომ და ვის მიერ ხდება ენჯეოებსა და ტელევიზიებში ამდენი უარყოფითი ენერგიის აკუმულირება და გადმოფრქვევა, ვინ ტენის მათ?!

განთავისუფლებული სიტყვის, იგივე, გამოხატვის თავისუფლების აყვანა გაუგონარი პათოლოგიის დონემდე და ახალი თაობისთვის და საზოგადოებისთვის „თავხედობის“ მორალად ქცევა...

●

ჩვენ გვიკვირს და ვკითხულობთ: რატომ იძალადა კაცმა ქალზე, რატომ მოკლა ადამიანმა ადამიანი, ბავშვმა – ბავშვი. რატომ გახდა იგი დაუნდობელი, საკუთარი თანატოლის და მშობლის მიმართაც... რა არის მიზეზი?..

4 გვ. →

დღეს ნომერშია:

საკუთარი ქვეყნის დამსმენები

წინაპართა საფლავის მხვნელები

ვინ მოკლა გენერალი?

მეშინია, სანამ მეუფე შიოს პატრიარქად აირჩევდნენ, მანამდე არ მოახდინონ მისი ლიკვიდაცია

ზვიად გამსახურდია სამეგრელოში კი არა, თბილისის აეროპორტში მოკლეს

„ცისფერი კომისრები“

პანკისის ხეობის სამკუთხედი

სპილო ჭურჭლის მაღაზიაში: რა უნდოდა ტრამპს დავოსში?

რატომ არის კარგი „გრუპავოი“ სექსი?

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

საკუთარი ქვეყნის დამსმენები

ვახტანგ ხარჩილავა:

საქართველოში საკუთარი ქვეყნის დამსმენები მოგვიმრავლდნენ, რომლებიც დიდი ხალისით და ენთუზიაზმით აბეზღებენ საკუთარ სახელმწიფოს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე.

საქართველოს ისტორიას დამსმენების, გამცემლების, ციხის შიგნიდან გამტეხლების მეტი რა ახსოვს, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, იმდენად მასშტაბურ ხასიათს იძენს, არ შეიძლება ყოველივე ამან არ შეგაშფოთოს და არ დაგაფიქროს.

არასამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული პოლიტიკოსები თუ პოლიტიკური პარტიები, ე.წ. ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები — აი, არასრული ჩამონათვალი იმ სუბიექტებისა, რომლებიც საკუთარი ქვეყნის დასმენის და ჩაშვების სათაკირებს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტანციებში.

14 პარტია ვაწერთ ხელს სტრასბურგში და ამერიკის კონგრესში გასაგზავნ ამ მიმართვასო — ისე ამაყად და მრავალმნიშვნელოვნად აცხადებენ მიმართვის ხელმომწერები, თუ კაცმა არ იცის, რომ ამ 14 პარტიის გარდა კიდევ 214 პარტიაა საქართველოში, შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, მთელი პოლიტიკური სპექტრი შეკრებილა და გაერთიანებულა ამ საჩივრის გარშემო და, როგორც ჩანს, მართლაც რაღაც ძალიან სერიოზული ამბები ხდება, თორემ ამდენი პარტია როგორ გაერთიანდებოდა და ერთად როგორ მოიყდრიდა თავსო.

„ლიდერთა საბჭო“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სასამართლო და პოლიტიკურ საკითხებში უხეშ ჩარევაში ადანაშაულებს და საბჭოში შემავალი პარტიების წა-

ლო და სამარცხვინო ხელობით არიან დაკავებულნი.

არ ვიცი, ვინმე აქეზებს მათ, ვინმე ფულს უხდის თუ ამ ადამიანებს დასმენა, უბრალოდ, ეხალისებათ, მაგრამ, ფაქტია, დამსმენთა რიცხვი მატულობს და მატულობს.

სულ ახლახან საკუთარი სახელმწიფოს დამსმენთა რიგებს ლიდერთა საბჭოს სახით ახალი, 14 სუბიექტისგან შემდგარი „ქვედანაყოფი“ შეემატა.

ლიდერთა საბჭო! — ხომ სოლიდურად და შთამბეჭდავად ჟღერს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ძნელი მისახვედრია, ვისი ლიდერები არიან ამ რამდენიმე კაცისგან შემდგარი პარტიის წარმომადგენლები და ვისი სახელით უჩივიან საქართველოს და მის სახელმწიფო სტრუქტურუმატებლობას არჩევნებში ამ უწყებას აბრალებს.

შალვა ნათელაშვილი: — სამსახური, რომელიც ატარებს არჩევნებს, არჩევს დეპუტატთა კანდიდატურებს, იძახებს მათ დაკითხვაზე და ბოლოს ხოცავს ხალხს, მძინარე ახალგაზრდებს, რაც მოხდა მაჩალიკაშვილის მაგალითზე პანკისში. ხელმ-

ძღვანელობა აქამდე გადამდგარი უნდა ყოფილიყო, რომ გააჩნდეთ სულ პატარა ნამუსი.

ნინო ბურჯანაძე: — ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომელზეც ჩვენ ვმსჯელობთ და რომლის ფინალამდეც მივდივართ. ეს არის სტრასბურგის სასამართლოში შესატანი სარჩელის საკითხი. სარჩელი, პრაქტიკულად, მზად არის და ეს სამზადისი არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაისმას ძალიან სერიოზულად სტრასბურგის ხმა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში არჩევნები ბოლო წლების განმავლობაში, პრაქტიკულად, არ ჩატარებულა.

ბაჩუკი ქარდავა: — სამივე ძირითადი საკითხი, რაზეც დღეს გვიწევს საუბარი, ეს არის ის, რომ, ფაქტობრივად, „ქართული ოცნება“ და ჩვენი სახელმწიფოს არაფორმალური მმართველი ცდილობს საქართველოში მოკლას პოლიტიკა, მოკლას დემოკრატიული სტრუქტურები და სწორედ ეს გვაიძულებს ვითანამშრომლოთ, მიუხედავად ჩვენ შორის არსებული პოლიტიკური სხვადასხვაობებისა.

პაატა დავითაია: — ქვეყანაში შექმნილი უსაფრთხოების საკითხები ძალიან მწვავედ არის წამოჭრილი. საუბარი არის იგივე პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, იმ საფრთხეებზე, რომელიც ჩნდება ქვეყანაში. მუშავდება კანონპროქეტი სანქციების შემოტანასთან დაკავშირებით, რაც ეხება ბატონი ივანიშვილის წინააღმდეგ ფინანსური სანქციების გატარებას. ღიად ჩანს იგივე **„Freedom House“**-ის მიერ გაკეთებულ განცხადებებში, რომ ოლიგარქიული თანხებით ხდება არჩევნების ჩატარება.

ლიდერთა საბჭოს წევრთა აზრით, მილიარდერი ივანიშვილის რეჟიმი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავტორიტარულ სისტემად, სადაც ოლიგარქი მართავს, რეპრესიებსა და ტოტალურ კონტროლს

ახორციელებს სპეცსამსახურთა მეშვეობით. შესაბამისად, სუს-ი გარდაიქმნა პოლიტიკური დევნის იარაღად, რომელიც ნაცვლად ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვისა, ეწევა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ თვალთვალს, ახორციელებს პოლიტიკური პარტიების შექმნა-დაშლის პროცესს, არჩევს და აკონტროლებს დეპუტაციას პარლამენტიდან თვითმმართველობამდე, მასობრივად აყალბებს არჩევნებს. ამჯერად სუს-ში მიდის მზადება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ტოტალური ფალსიფიცირებისათვის. ყველაფერთან ერთად, დედაქალაქიდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცება, თბილისის ცენტრში ისლამური სახელმწიფოს ტერორისტთა თავისუფალი შემოსვლა-გადაადგილება, ადამიანთა მსხვერპლი და პანკისში მძინარე, უდანაშაულო ახალგაზრდის თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობა, რომელიც განახორციელა სუს-მა, მიუთითებს ამ ორგანიზაციის საბოლოოდ გადაგვარებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ნებისმიერ ოდნავ ნორმალურ სახელმწიფოში სპეცსამსახურთა ხელმძღვანელობა გადადგებოდა ან იქნებოდა გადაყენებული. მიგვაჩნია, რომ ამ სისტემის ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა აგონ პოლიტიკურ-სამართლებრივად. სასწრაფოდ დასაწყებია ფართო დისკუსია ამ ორგანოს გაადამიანურებასა და დემოკრატიულ რეფორმირებაზე, სხვა შემთხვევაში ქვეყნის უსაფრთხოება დგას სერიოზული საშიშროების წინაშე.

დაახლოებით ამ შინაარსისაა იმ მიმართვის ტექსტი, რომლის გაგზავნასაც ლიდერთა საბჭო სტრასბურგსა და ამერიკის კონგრესში აპირებს.

როგორც ჩანს, მათ იმედი აქვთ,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რომ სტრასბურგსა და აშშ-ის კონგრესს დაარწმუნებენ იმაში, რომ, ვთქვათ და, ბაჩუკი ქარდავას ან პაატა დავითაიას პარტიები იმიტომ ვერ იმარჯვებენ არჩევნებში, რომ ამაში მათ ხელს სუს-ი უშლით, თორემ ეს უწყება რომ არა, ეს პარტიები და ლიდერთა საბჭოში შემავალი სხვა პარტიებიც საპარლამენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დამაჯერებლად მოიგებდნენ.

ვერ გეტყვით, ამერიკის კონგრესში და სტრასბურგში, თუნდაც არაინფორმაციულობის გამო, დაიჯერებენ თუ არა ამ ამბავს, მაგრამ საქართველოში, რომლის მოსახლეობამაც ზუსტად იცის, რატომ არ აძლევს ხმას ამ გაკოტრებულ პარტიებს, ლ; იდერთა საბჭოს ეს ვერსია სასაცილოდ არ ეყოფათ.

გამოდის, რომ ლიდერთა საბჭო თვალში ნაცარს აყრის საკუთარ მოსახლეობას და იგივეს გაკეთებას უპირებს სტრასბურგსა და აშშ-ის კონგრესსაც.

სიცრუე, სიყალბე, უსაფუძვლო ბრალდებები, ცილისწამება ჭორების შეთხზვა და გავრცელება — აი, ძირითადი იარაღი დამსმენთა არსენალიდან.

ლიდერთა საბჭოს ამ ბოლო შეკრებას წინ უძღოდა შალვა ნათელაშვილის რამდენიმე ვიზიტი აშშ-ში, კერძოდ, კონგრესმენ სტივ რასელთან, რომელიც, როგორც ჩანს, ბატონმა შალვამ დაარწმუნა, რომ საქართველოში უბედურება ტრიალებს, ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობაა, არ მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტები და ამ კატასტროფულ მდგომარეობას თავი რომ დავაღწიოთ, აუცილებელია ბიძინა ივანიშვილს ანგარიშები გავუყინოთ და მოვახდინოთ მისი სრული დისტანცირება პოლიტიკური პროცესებისგან.

სულ მალე ბატონი სტივი კონგრესში მოხსენებით გამოვიდა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რასაც ნათელაშვილი „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან მოშლილი პატეფონივით იმეორებს და იმეორებს ხოლმე ბიძინა ივანიშვილის მისამართით.

ივანიშვილისადმი ბიოლოგიური სიძულვილით გამსჭვალული ნათელაშვილი, როგორც ჩანს, ვერ ხვდება, რა უზარმაზარ ზიანს აყენებს იგი ამ თავისი ცუდად აკვიატებული განცხადებებით არა იმდენად ბიძინა ივანიშვილს, რამდენადაც, ზოგადად, ქვეყანას.

როგორც ჩანს, არ უყვარს პატივცემულ შალვას ეს ქვეყანა, თორემ სანამ ივანიშვილის ანგარიშების დაყადაღებას მოითხოვდა, იმაზე დაფიქრდებოდა, რამდენი ორგანიზაციაა, რამდენი ადამიანი, რამდენი პროექტი დარჩება დაფინანსების გარეშე, ივანიშვილს ანგარიშები რომ გაუყინონ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიდერთა საბჭოს ამ მიმართვის ტექსტი სწორედ პატივცემული შალვას შემოქმედების ნაყოფია, რომელსაც დანარჩენმა პარტიებმაც, შეძლებისდაგვარად, წააშველეს ხელი და ასე შეკოწიწდა „დოკუმენტი“, რომლის ავტორებიც დემოკრატიულ მსოფლიოს არწმუნებენ, რომ ქვეყანაში საგანგებო და საგანგაშო ვითარებაა, ამაში კი მთავარი ბრალი თურმე სუს-ს მიუძღვის.

თუმცა „დოკუმენტის“ ავტორებს ერთი რამ ავიწყდებათ. იქ, სადაც ესენი საჩივრის გაგზავნას აპირებენ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურზე ძალზე მაღალი წარმოდგენისა არიან.

ასე, მაგალითად, „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში, დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მთლიანობაში, მთავრობას მნიშვნელოვნად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე. როგორც აღნიშნულია ანგარიშში, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სამინისტროს და სამსახურს აქვს პოლიტიკაზე ორიენტირებული კონტრტერორისტული როლი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გახდა წამყვანი უწყება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, მას შემდეგ რაც გამოეყო შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წელს. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის დიდი ხნის წევრი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ინტენსიურად იყო ჩართული კონტრტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებში და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს უწყებები აგრძელებდნენ მუშაობას უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონულ კოლეგებთან ინფორმაციის უფრო აქტიური გაცვლის მიმართულებით. საქართველომ ასევე მიაღწია პროგრესს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ შიდასახელმწიფოებრივი პროგრამის იმპლემენტაციის მიმართულებით“ („საერთო გაზეთი N1. 2018).

ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, არ ეხება მხოლოდ „ლიდერთა საბჭოს“ და მის წევრებს.

ვის შეიძლება ხელს აძლევდეს და ვის დავალებებს შეიძლება ასრულებდნენ ის სუბიექტები, რომლებიც თავგამოდებულნი ცდილობენ მოახდინონ სახელმწიფო სტრუქტურების, განსაკუთრებით, ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაცია, რაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობაში საკუთარი სახელმწიფოსგან გაუცხოების პროცესებისთვის ხელის შეწყობას.

როცა მოქალაქეებს გამუდმებით, დაჟინებით, მიზანმიმართულად აპირისპირებენ საკუთარ სახელმწიფოს იმ სტრუქტურებთან, რომლებზეც, ფაქტობრივად, დგას სახელმწიფო, როცა მოქალაქეებში ცდილობენ გაალვივონ უნდობლობისა და აგრესიის ელემენტები კონკრეტუილი უწყებების მისამართით, ვის წისქვილზე ასხამს ეს ყველაფერი წყალს და ვინ შეიძლება იყოს ამით დაინტერესებული?

არა მგონია, ეს ყოველივე იმ სახელმწიფოების ინტერესებში შედიოდეს, რომლებიც საქართველოს მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოებად მოიაზრებიან და რომლებსაც „დანოსებს“ უგზავნიან საკუთარი სამშობლოს დასმენის ციებ-ცხელებაშეყრილი ეს ვაიქართველები.

ერთ ან ორ ენატანიასთან რომ გვქონდეს საქმე, კიდევ ჰო, მაგრამ, როცა ნათლად ვხედავთ კარგად ორგანიზებულ, კარგად დაფინანსებულ მთელ ქსელს, რომელიც მწყობრად და კოორდინირებულად უტევს ქართულ სახელმწიფოს, ალბათ, დროა, გავარკვიოთ, რა ძალები დგანან ამ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების უკან და ვინ ხეირობს სინამდვილეში შექმნილი სიტუაციით. დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით და მოტივით ატეხილი ამ წიოკობის და ალიაქოთის შედეგად?

„ადამიანი-მაიმუნები“, „მოლაპარაკე თხები“ და უსამშობლო თაობის სინდრომი

1 გვ.

საზოგადოება, ადამიანი, ბავშვი გავათავისუფლეთ მორალისგან, მივანიჭეთ გამოხატვის და ქცევის თავისუფლება და მან თავისუფლად იხმარა იარაღი, გამოხატა თავისი ნება, ჯერ სიტყვა შეუბრუნა, მერე – ქვა...

ერთის მხრივ, მამაკაცის მიერ ქალის შეხედვა ცხადდება ბოროტ, „დასჯად“ სტიგმად, არასამთავრობო ჰომოსექსუალი ღლავების მიერ, მეორე მხრივ, ადამიანის ქცევის თავისუფლება იქცა მუდმივი პროპაგანდის თემად და მასმედიის ნორმად. სად არის ლოგიკა?!

ეს არის იდეოლოგია, რომელიც მოახვია თავზე ჩვენს ერს ლიბერასტულმა სამყარომ!

●

ბავშვს აღარ ჰყავს პედაგოგი სკოლაში, ის გათავისუფლებულია მასწავლებლის ზედამხედველობისგან! მოსწავლე თავად აქციეს მასწავლებლის მასწავლებლად?! მასწავლებელს არ შეუძლია ბავშვს შენიშვნა მისცეს და თუნდაც ყური აუწიოს, მკაცრად შეხედოს ან ხმამაღლა დაელაპარაკოს!

სკოლაში არ უშვებენ მოძღვარს. ბავშვს ავიწყებენ საკუთარი წინაპრების ისტორიას და კულტურას, რჯულს, ქცევის წესებს...

ბავშვები იზრდებიან უმშობლოდ, მას არ ჰყავს მშობელი: იგი განდევნილია სამშობლოდან... და სახლიდან! ბავშვებს მასწავლებლად უზით „რობოტი სფინქსი“ ტელევიზიებიდან, ფეისბუკებიდან, ტელეფონებიდან სატანის თვალი უყურებს და სატანის გონი მართავს. ეს ასეა და ეს არის მწარე რეალობა!

ამ თემის რეზიუმეს სახით მინდა ვთქვა: რაც ხდება ჩვენთან, ჩვენს სამშობლოში, ეს არის უსამშობლოო (და უმშობლო) თაობის სინდრომი და აყრილი ერის ტრაგედია! ეს არის ჩვენი ერის დღევანდელი ბედისწერა?!

ჩვენ თუ ვერ დავაბრუნეთ დედა (ქართველი ქალი) საკუთარ ოჯახში, ჩვენ თუ არ დავუბრუნეთ ბავშვებს (თაობას) პედაგოგი, მშობელი და სამშობლო, ყველაფერი დაღუპულია, არაფერი ეშველება იმ ქვეყანას, სადაც ძაღლებზე და ჰომოსექსუალებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ბავშვებზე!

●

ხდება მოვლენათა და მცნებათა აღრევა და „დიფუზია“, ცნობიერების სკლეროიტული ინტეგრაცია...

ანუ:

XXI საუკუნის კაცობრიობას უდგება კულტურული კრიზისის და ზნეობრივი დეპრესიის ტრაგიკული დრო – თვისებათა ცვლის და სექსთა შებრუნების უცნობი (სატანური) ფაზა... იგი შედის სხვა აპოკალიფსის მინიშნებულ ზოდიაქოში...

კაცობრიობა (და უწინარესად ჩვენი ერი) შედის სოდომის ცოდვათა ქალაქში („სამთავროში“) სადაც ზნეობრივ მაგალითს ვერ იპოვი!

ამასთანავე: ადამიანთა ფსიქიკას ცვლის უცნობი კოსმოსური „გრადაცია“. დედამიწა ცვლის ტრაექტორიას და სიჩქარეს – ბუნება შობს ახალ ცხოველებს და სახეობებს... ხოლო ურწმუნო ადამიანთა კასტა მთლიანად კარგავს ზნეობრივ სახეს (.....) და გადის უფლის სახლიდან...

ეს არის სრულიად უცნობ დროთა და მოვლენათა „მიგრაცია“ ჩვენს დროში!

●

როგორც ეტყობა, ჩვენ ვერ შევაჩერებთ გლობალურ პროცესებს, მაგრამ ვერ შევაჩერებთ ვერც საზოგადოების (ანუ თაობათა) ვულგალიზაციას, რადგანაც ერის ფსიქიკაზე ძალადობს რომელიღაც ზემდგომი სატანური ძალა. ამ შემთხვევაში გამოხატული (განსახიერებული) არასამთავრობო სექტორების, „საიების“ და მისთანათა წარმონაქმნში და მწერალთა იმ ენჯეოებში, „უნიტაზების“ თაობად რომ გვევლინება (იწოდება).

●

გავიმეორებ:

მე არ მიკვირს, რატომ მომრავლდნენ ერთმანეთის მკვლელი სადისტი ბავშვები, დაუნდობლები ერთმანეთის და მშობლების მიმართ?

– როცა მათ მორალისტად დაუსვამენ იგივე ბუღაძეებს, ქარუმიძეებს, ბურჭულაძეებს, დეისაძეებს, შამუგიებს, ამაღლობლებს და მისთანა ზნეობრივად და სექსუალურად გაუწონასწორებელ უტიფარ არსებებს, ასე იქნება!..

თვითონ სახელმწიფო ინსტიტუტები და ბობოლა მევაზშენი შობენ და კვებავენ მათ, აწოვებენ ხაზარაძის ძუძუს, რადგან ისინი (ვიღაცას) სწორედ ასეთები სჭირდება!

როდესაც ზნეობრივი გაკვეთილების (მაგალითების) სივრციდან ამოაგდებ ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგს, გოგებაშვილს, ჯავახიშვილს, ინანიშვილს და ა. შ. როდესაც სკოლას წაართმევ გოგებაშვილის „დედა ენას“ და მათ ადგილზე ბერძენიშბილის და მისთანა ჰიბრიდებს დასვამ და მათ მენტალურ სამყაროში შეიყვან თაობებს – კიდევ უარესად იქნება ქვეყნის ბედისწერა...

●

კიდევ ვიტყვი:

ამაოა ყოველგვარ ეკონომიკაზე, ყოველგვარ კულტურაზე ფფიქრი, ყოველგვარ სახელმწიფო უშიშროებაზე, ვიდრე ეს „პანდორას ყუთები“ აინფიცირებენ ქვეყანას და მის „სულიერ მდელოებს“.

ან რა გამჭვირვალობა და საგანგებო თვალთვალი სჭირდება ჩვენს ქვეყანას აკვარიუმის თევზებივით? ერს უნდა ჰქონდეს შეუვალი, საიდუმლო და იგი დაცული უნდა იყოს საკრალური სიბრძნით, რომელიც არასოდეს გახდება ცნობილი „მოთვალთვალე სფინქსისთვის“...

სამწუხაროდ:

ხელისუფლება ხელისუფლებას არ ჰგავს ამათ შანტაჟზე წამოგებული. საზოგადოება საზოგადოებას არ ჰგავს ამათი ინფორმაციით ზომბირებული და გაჟღენთილი და მოწამლული.

რა ვქნათ, არ გავიღვიძოთ? არ მოვიცალოთ ამ ბღერთა ჩამოსაბერტყად? სულ ასე უნდა ვიყოთ, ამათ სიცრუეში, ამათი ცილისწამების ბურუსში, ამათ ღალატში თავზე „ობდაყრილი“?!

არ უნდა ვიყოთ!

●

ვიტყვი სენტენციის სახით:

არასამთავრობები ანგრევენ სისტემას, რასაც სახელმწიფო ჰქვია!

ლიბერალიზმი და კონფორმიზმი ანგრევს ზნეობრივ სივრცეს, რაც სახელმწიფოს მორალის და სამართლის საფუძველია!..

ამას თავისთავად მოსდევს კულტურისა და რწმენის (რელიგიის) კრიზისი, რაც ერის მენტალობის და იდენტობის მთავარი მახასიათებელია.

დანაშაულის დავიწყება, ბოროტებასთან „კოჰაბიტაციური“ რეჟიმი ანგრევს ერის ფსიქოლოგიას და ცვლის მისი ქცევიოს ზნეობრივ კოდექსს.

„გამოხატვის“ და ქცევის თავისუფლება საზოგადოებას აახლოებს ველურ ბიბლიამდელ დროსთან, როდესაც იგი ჯერ კიდევ ნახევრად მაიმუნი იყო და „ლელვის ფოთოლიც“ არ სჭირდებოდა სირცხვილის (თუ სარცხვენელის) დასაფარად.

გახვრეტილი ცხვირები, ჭიპები, ტუჩები, ამოხეულ-ჩახეული ჯინსები, ნუდისტურ-ლესბოსური ვნებანი აახლოებს ქვის ხანის ნეანდერტანელებთან ჩვენი დროის ლიბერასტებს.

●

ახლა კვლავ მწერლობას მივუბრუნდეთ:

ერის მორალს მწერლობა აყალიბებს.

ეროვნულ სივრცეზე ზნეობრივი პერსონაჟები უნდა მოძრაობდნენ. ერი ცოცხლობს და ყალიბდება ზნეობრივი მაგალითებით. მწერალს შეუძლია ერის გადარჩენა!

მაღალი რანგის მწერალთა პერსონაჟები მაღალზნეობრივი არიან – ისინი ასხივოსნებენ, ასწორებენ და აწონასწორებენ ერის საარსებო სივრცეს და ხორციელი ვნების „ლიბიდოს“!

●

შეიძლება ითქვას: მეორე ათასწლეულის საქართველი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ გადაარჩინა! ეს იყო მორალის წიგნი, ზნეობის, ღირსების, სიყვარულის, ერთგულების, ძმობის და სამშობლოს დაცვის, ანუ ფატალური მტრის წინააღმდეგ საკრალური ომის მისტერია!..

ვაჟა-ფშაველას ყველა პერსონაჟი ზნეობრივი გმირია, არც ერთი მათგანი არ გადის ზნეობრივი რკალიდან...

ასევე ილიას, ყაზბეგის ყველა პერსონაჟი ამკვიდრებს ზნეობრივ მაგალითებს.

ისინი არ უშვებენ ვულგარულ-სკაბრეზულ სიტყვათა და ფორმათა ინტერვენციას (ძალადობას) საზოგადოებაზე, არ ამყოფებენ საკუთარ ერსა და ქვეყანას ზნეობრივი გაურკვევლობის და სიცრუის ქაოსში...

●

სად არის მაღალმხატვრული ნაწარმოების გასასღები: სტილისა და მანერის ორიგინალი დრამის სიმძაფრეში თუ მოვლენის ვულგარიზაციაში? რა შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც დღევანდელი ლიტერატურის პარაზიტები ქმნიან? „უნიტაზური მწერლობის“ ახალი ნაკადი საკუთარ თავს თავადვე რომ მიარქვეს... რას მატებენ, რას აძლევენ ისინი სამშობლოს – როგორ შველიან საკუთარ ხალხს და ქვეყანას? რა არის, ზოგადად, მათი არსებობის აზრი და მწერლური მისია? არაფერი!.. ეს სიტყვა კარგად მიესადაგება ამ მართლაც „არაფრებს“ და ყველაფერი ის, რაც საზიანოა საკუთარი ერისთვის და მისი მორალისთვის!

XIX საუკუნის დაცემული საქართველო ილიამ, ვაჟამ, გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა და მათმა თანამებრძოლებმა ააყენეს ფეხზე და გადაარჩინეს. ეს მართლაც ასეა!

●

როცა ქართულ მწერლობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტი:

1937 წელს საკავშირო კულტურის ფორუმზე მოსკოვში (სადაც მთელი მსოფლიო იყო მიწვეული) საქართველოს ხელისუფლებამ იქ წარადგინა პროლეტარული მწერლები და ზედ საგანგებოდ გამზადებული მოხსენებაც მიაყოლეს.

რა თქმა უნდა, სტალინი გაეცნო ამას და უთხრა, რომ ეს არ არის სიმართლე, ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორია XX საუკუნიდან არ იწყება. მან იკითხა: სად არის „შუშანიკის წამება“, გურამიშვილი, ილია, ვაჟა და სხვანი?!

სტალინის ამ დამოკიდებულებამ მთლიანად შეცვალა ქართული დელეგაციის ამოცანა. იმავე ღამეს ტიციანმა ახალი მოხსენება მოამზადა. ფაქტობრივად, აქ მოხდა სოციალ-დემოკრატების მიერ დისკრედიტებული ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია!..

ამ ფორუმმა მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია: კრემლის საზეიმო დარბაზში შოთა რუსთაველის სურათი ბრწყინავდა და ქართული ისტორიული კულტურა ზეიმობდა – სტალინმა მსოფლიოს დაანახა ქართველი ერის ტალანტი.

●

ახლა რა ხდება? ვის აგზავნიან მსოფლიო კულტურის ფორუმებზე და ბიენალებზე, იგივე სტრასბურგის ქართული კულტურის დღეებზე ჩვენი ხელისუფალნი? ეტყობა, ისევ ჩვენი დროის „ლიბერასტები“ მიემართებიან ევროპულ ცივილიზაციებთან შესახვედრად, რომ საკუთარი „უნიტაზების“ „პოეზია და მუსიკა“ გააჟღერონ!..

●

ხელისუფლების და კერძოდ, კულტურის სამინისტროს საყურადღებოდ ვიტყვი, მაინც და მაინც სტალინი უნდა იყო, რომ ისეთი რამ ჰქმნა, რაც მან მოიმოქმედა იმ დროს?!

განა შეუძლებელია, რომ იგივე დილემის გადაჭრა ახლა რომელიმე სახელმწიფო მოღვაწემ რომ გაბედოს?!

შეაჩეროს „ფეკალური ნაკადების“ „გადინება“ და დაფინანსება.

სამწუხაროდ, ხელისუფლებაში აღარ არის ის ადამიანი ვინც ამას შეძლებდა... მაგრამ იგი უეჭველად უნდა დაბრუნდეს და „აჭრილი“ მორალური სივრცის გამოსწორება დაიწყოს...

●

– ენა, მამული, სარწმუნოება! – ბრძანა ილია მართალმა.

– ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! – იქადაგა ილია II-მ.

ამ ლიბერასტებმა –„უნიტაზებმა“ კი მთლიანად ამოაგდეს ეს მცნებები თავისი „ზნეობრივი“ კოდექსიდან და „საიდუმლო სირობა“ დაგვიწერეს!

ჩვენ კიდევ ბევრ რამეს შეგვკადრებენ ესენი, ვიდრე ასე „თვინიერი“ ვიქნებით.

საზოგადოება შეაჩვიეს „ძალადობას“ და „შიმბალს“... და „დედის უნიტაზზე“ ჯდომას...

„მწერლებმა“ და მათ მიმგვანებულმა ჰიბრიდებმა და კლონებმა, ფაქტობრივად, მოწამლეს და აამყაყეს ქვეყანა!... ააცდინეს ახალი თაობა გზას და მისიას... ყოველ დილას და საღამო ყველგან: მასმედიის და ინტერნეტის ეკრანებზე ჩამოკიდებულმა ამ „პანდორას ყუთებმა“ „შავი ჭირის ვირუსი“ გაუჩინეს საზოგადოებას.

●

ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ვეუბნებით: მიეცით კეისარს კეისრისა!

თორემ დადგება დრო, ჩამოიგლის უფალი ურმით და ქვეყანას მოჰკითხავს სიბრძნეს, ჩამოარიგებს თითო „კვერს“ და არაფერი შეხვდება მსუყე სექსის მოყვარულ ჩინოვნიკს, არც ლიბერასტთა სექტებს, არც ნაცებზე გადამყნილ შალიკოებს!..

●

დასასრულისთვის ვიტყვი: ქვეყანას, სახელიწმიფოს, ქართველ ერს სჭირდება ძლიერი ქართული ტელევიზია, რომელიც ააცდენს სულიერ (მენტალურ) გადახრებს. ეს მისია პირველმა არხმა უნდა შეასრულოს და გათავისუფლდეს არასამთავრობოთა და სხვა კლანთა კარნახისგან. მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო დაფინანსება და რეკლამაც.

ეროვნულმა ტელევიზიამ უნდა გაასუფთავოს ზნეობრივი სივრცე და ეკრანზე გამოაჩინოს მამულისთვის მოღვაწე, ღირსეული ადამიანები, მწერალნი, ხელოვანნი, მეცნიერნი, საზოგადო მოღვაწენი...

არავინ დაუჯეროს, მით უფრო პარლამენტმა იმ ყვავებს, რომლებიც იბრძვიან ტელევიზიის „გაქართულების“ (ეროვნულობის) წინააღმდეგ და განსაკუთრებით იმ „შავ ყვავს“, რომელმაც სატელევიზიო სტუდიიდან პირდაპირ საპყრობილეში წააყვანინა პატრიოტები...

●

ჩვენ მალევე, დაუყოვნებლად, უნდა მოვიწვიოთ მწერალთა, კულტურის და საზოგადო მოღვაწეთა ეროვნული კონგრესი (ფორუმი) და ვიმოქმედოთ გაბედულად რომ დავუპირისპირდეთ ამ აპოკალიფსს...

ჩვენ უნდა გავიდეთ ამ აპოკალიფსიდან, როგორც ლოტი სოდომის ქალაქიდან – უკან მოუხედავად,!.. თორემ დავიღუპებით...

ვინ მოკლა გენერალი სოსო ქუთათელაძე?

ალექსანდრე კობაიძე: გამოძიებას ვთხოვ, ქუთათელაძის მკვლელობასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაკითხონ რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა!

სოსო (სამსონ) ქუთათელაძე, ეროვნული გვარდიის სარდალი 2004–08 წლებში, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, აშშ-ის არმიის გენერალ-მაიორი 15 იანვარს ქალაქ რუსთავში ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ტერიტორიაზე ექვსი გასროლით მაყუჩიანი იარაღით საკუთარ სამუშაო კაბინეტში გარდაცვლილი იპოვეს.

გამოძიებამ რამდენიმე პირი დაკითხა. ძირითადი ეჭვები კი გამოძიებას მის პარტნიორთან გიორგი ჭანტურიასთან აქვს, რომელმაც ქუთათელაძე უკანასკნელად ნახა.

ადვოკატი **ალექსანდრე კობაიძე** ამბობს, რომ „სტამბოლის ბაზრობის“ წილები, რომელიც, სავარაუდოდ, ქუთათელაძის მკვლელობის მიზეზი გახდა, გიორგი ჭანტურიას 2010 წელს დაათმობინეს ისე, რომ ამ საქმეზე მაშინ ჭანტურიების ოჯახის ორი წევრიც კი იყო დაკავებული.

— ბატონო ალექსანდრე, გიორგი ჭანტურია დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. რის საფუძველზე დაკითხეს ჭანტურია და მისი ოჯახის წევრები?

— როდესაც საქმის მასალებს გავეცანი, აღმოჩნდა, რომ ჭანტურიას მიმართ არავითარი ეჭვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა ისეთი ადამიანები ადებენ ხელს მას, თითქოს ის იყოს სავარაუდო მკვლელი, რომელთა მიმართაც, ადვილი შესაძლებელია, ლეგიტიმური ეჭვები არსებობდეს. ყველა სხვა ვერსიას გამორიცხავენ და გამოძიებას მოუწოდებენ, რომ გიორგი ჭანტურიას მიმართულებით იმუშაოს გამოძიებამ.

— რატომ?

— მიზეზები ბევრია. ახლახან ბაზრობის კიდევ ერთი მეწილე გამოვიდა და თქვა, რომ **გიორგი ჭანტურია** ნამდვილად შეიძლება იყოს ეჭვმიტანილი. რაც, ფაქტობრივად, მას, ამ მეწილეს, უხსნის გზას იქეთკენ, რომ თვითონ და ქ. რუსთავის მერია გახდეს ბაზრობის ძირითადი წილის მფლობელი.

როდესაც ჭანტურიას 2010 წელს დაათმობინეს ბაზრობის წილი, რომელიც შემდეგ აუქციონზე იქნა გატანილი და გასხვისებული, ეს ნაწილი ებრაელებმა შეისყიდეს, პროცესებს იქ დავით კირკიტაძე აკონტროლებდა და დღემდე ასეა.

მოგეხსენებათ, ახლახან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. ქ. რუსთავის ახალმა მერმა ბაზრობის წილი 15% მერიის ბალანსზე ჩაიბარა და ამ წილის მფლობელად თავისი ოჯახის წევრი, ნათესავი, არსებული ქონების დაცვის იურისტად დანიშნა.

როგორც კი ირაკლი ტაბაღუა რუსთავის მერი გახდა, მაშინვე გაათავისუფლა **გიორგი ჭანტურია** და მისი მამა სამსახურიდან და თავისი იურისტი მიავლინა „სტამბოლის ბაზრის“ იურისტად. საინტერესო ის არის, რომ, როგორც კი სოსო ქუთათელაძე მოკლეს და ეს ამბავი დაცვის წევრმა გაახმაურა, დაახლოებით, ნახევარ საათში შემთხვევის ადგილზე ქალაქის მერი მივიდა. როდესაც არავითარი სამსახურებრივი ვალდებულება არ ჰქონდა, არ იყო არც შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი, არის ქალაქის მერი, რატომ მივიდა მაშინვე მკვლელობის ადგილას? ასეთი სხვა ფაქტი მე არ მახსენდება.

— რატომ არ უნდა მისულიყო ქალაქის მერი ირაკლი ტაბაღუა შემთხვევის ადგილას?

— მაინტერესებს, რატომ არ არის დაკითხული აქამდე **ირაკლი ტაბაღუა**? ეს კითხვა მიჩნდება მე, მაგრამ გამოძიება ამ ვერსიაზე არ მუშაობს.

მე მაქვს საკუთარი მოსაზრებები და ვკითხულობ: რატომ მოიშორეს საქმიდან ჭანტურია, რომელსაც ახლა სურთ ხელი შეაწმინდონ, ქუთათელაძე კი მოკლეს? ვინ იყო და არის ამის ინიციატორი? მოვუწოდებ შესაბამის ორგანოებს — დაკითხონ ირაკლი ტაბაღუა და ჰკითხონ: რატომ დანიშნა თავისი ნათესავი ე.წ. „სტამბოლის ბაზრის“ იურისტად, რატომ გაათავისუფლა სამსახურიდან ჭანტურიები და რატომ მივიდა მკვლელობის ადგილზე შემთხვევიდან ნახევარი საათის შემდეგ.

მე, როგორც ამ საქმეში ჩახედულ ადამიანს, მიჩნდება ეჭვები და ვფიქრობ, რომ ქალაქის მერი ირაკლი ტაბაღუა კორუფციულ გარიგებაში იყო ბაზრობის ხელმძღვანელობასთან და იღებდა აქედან თანხებს. ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი დეტალი იცის ტაბაღუამ ამ საქმესთან დაკავშირებით.

— ანუ, თქვენ ეჭვი ირაკლი ტაბაღუაზე გაქვთ, რომ ის, შესაძლოა, რაიმე ფორმით სოსო ქუთათელაძის მკვლელობასთან იყოს დაკავშირებული?

— დაკითხონ და გასცეს პასუხი ირაკლი ტაბაღუამ, რატომ დანიშნა თავისი ნათესავი, რომელსაც „ჭაბუკათი“ მოიხსენიებენ, მერიის 15%-იანი წილის საკონტროლოდ „სტამბოლის ბაზრობაზე“, თუკი ის ბაზრობის შემოსავლებით არ იყო დაინტერესებული?

მე მივიჩნევ, რომ აუცილებელია ირაკლი ტაბაღუა დაიკითხოს.

მოგეხსენებათ, ირაკლი ტაბაღუა წლების განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში მუშაობდა და შესანიშნავად იცოდა რუსთავის ბაზრობის შემოსავლების დეტალები.

ირაკლი ტაბაღუა: ადვოკატ კობაიძის მიერ ჩემი მისამართით გაჟღერებული ბრალდებები სრული აბსურდია

განმარტებისთვის ქ. რუსთავის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **თამარ აქუბარდიას** დავუკავშირდით.

თამარ აქუბარდია: — ახლა მე აგიხსნით, რატომ აღმოჩნდა ეს ბაზარი საერთოდ ხსენებული რუსთავის მერიასთან.

2011 წელს ნაციონალების დროს ბაზრის მეწილეებს წილები დაათმობინეს და წილის 85%-ის მფლობელი გახდა რუსთავის მერია. ამ წილის გარკვეული ნაწილი მერე ებრაელებს გადაეცა.

— ვინ იყვნენ ეს ებრაელები?

— ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. რაც ვიცი, იმ ინფორმაციას გაწვდით. რეესტრში შეგიძლიათ ყველაფერი ნახოთ.

2016 წელსვე შპს „ერთობამ“ დაიწყო დავა ამ 15%-ზე და დღემდე მიმდინარეობს ეს პროცესი.

2016 წელს ირაკლი ტაბაღუა არც მერი იყო და არც არავის ეგონა, ოდესმე გახდებოდა თუ არა მერი. ამიტომაც ირაკლი ტაბაღუას არავინ არ დაუნიშნავს ბაზრის იურისტად და ვერც ვერავის დანიშნავდა. პირდაპირ გეტყვით ამას, იმიტომ, რომ ამ 15%-ს ადევს ყადაღა შპს „ერთობის“, ანუ მოსარჩელის მოთხოვნით; რადგან მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

ბაზრის იურისტად ბატონი ირაკლის ნათესავი არ მუშაობს. ის რუსთაველი კაცია, ქალაქში იცნობს ბევრი და პატივს სცემენ. ალბათ, იფიქრა **ალექსანდრე კობაიძემ**, რომ მის ვერსიას დაიჯერებდა ხალხი.

რაც შეეხება იმას, რატომ იყო მისული ქალაქის მერი შემთხვევის ადგილზე.

თქვენ როგორ გგონიათ, ქალაქში მკვლელობა რომ ხდება, იქ არ უნდა მივიდეს ქალაქის მერი? ეს კი არა, კანალიზაციის მილი რომ ფუჭდება, მაშინვე იქ ჩნდება ირაკლი ტაბაღუა.

თამარ აქუბარდიამ ბატონ **ირაკლი ტაბაღუასთან** დაგვაკავშირა.

ირაკლი ტაბაღუა, ქალაქ რუსთავის მერი: რუსთავი გახლავთ ქალაქი, სადაც საცობები არარის და გადაადგილება მარტივია. ამიტომ, როგორც კი გავიგე ეს ამბავი, 10 წუთის შემდეგ მივედი შემთხვევის ადგილზე.

ხანძრის დროს რუსთავში ღამის თევაც მომიწია, სხვა შემთხვევებიც იყო, სადაც პირადად მე ვიყავი შემთხვევის ადგილზე. არ ვიცი, რატომ გიკვირთ. ეს მე სამსახურებრივად მევალება. რუსთავი პატარა ქალაქია...

— იცნობდით გარდაცვლილ ქუთათელაძეს?

— ხაზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ქალაქში შემოვლას ვახორციელებდით და ენერგოპროსთან ერთად ვიყავით ბაზრობის ტერიტორიაზეც. მაშინ შევხვდი სოსო ქუთათელაძეს, მანამდე ახლო ურთიერთობა მასთან არ მქონია.

— რამდენ პროცენტს ფლობს დღეს რუსთავის მერია ბაზრობაზე?

— შპს-ებიდან და აი-პი-ებიდან, ზოგიერთი მერიის დაქვემდებარებაშია და დღემდე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ამაზე.

— ბატონი კობაიძე ბრძანებს, რომ შესაძლებელია ტაბაღუა კორუფციულ გარიგებაში იყოს ბაზრის ხელმძღვანელობასთანო.

— ეს არის სრული აბსურდი. ჯერ არ მოვსულვარ და უკვე კორუფციულ გარიგებაში როგორ ვიქნები?

— რატომ გაათავისუფლეთ მამა-შვილი ჭანტურიები სამსახურიდან?

— სად არის ბრძანებულება მათ გათავისუფლებაზე?

ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მუშაობდა გიორგი ჭანტურიას მამა. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და გათავისუფლდა. შემდგომში მას განცხადება აღარ დაუწერია.

რაც შეეხება იურისტს; (**ურეკავს იურიდიულ სამსახურს და აზუსტებს გვარს — ი.კ.**) იურისტი, გვარად **დემურაძე**, 2016 წელს დაინიშნა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსად. ის ჩემი ნათესავი არ არის.

ასე რომ, ადვოკატი კობაიძის მიერ ჩემი მისამართით გაჟღერებული ბრალდებები სრული აბსურდია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

წინაპართა საფლავის მხვნელები სამშობლოსაც ისე გაუთხრიან სამარეს, ხელი არ აუკანკალდებათ

გვესაუბრება პოეტი თემურ ჩალაბაშვილი:



— უპირველესად, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, მივესალმები თქვენს ბრწყინვალე გაზეთს. მინდა გულწრფელად გამოვეხმაურო ჩემი სიყრმის მეგობრის, შესანიშნავი პუბლიცისტის და პოეტის ვახტანგ ხარჩილავას წერილს — „პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტები და „წმინდანთა“ დისციპლინა. ისეთ პატარა ქვეყანაში როგორიც საქართველოა, როგორ შეიძლება მწერალი გერქვას და ეროვნულის, ქართულის წინააღმდეგ იბრძოლო. დიდი ერებისთვის ეროვნულობა იქნებ არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ამოსავალი წერტილია. ის რაც სხვა ერებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა — ნარკომანია, პროსტიტუცია და ა.შ., აქ, გამანადგურებელი ეფექტი აქვს. აი, რა არის პრობლემა და არა ლიტერატურული გემოვნება — წერონ როგორც უნდათ, მაგრამ ვაი, რომ მკითხველამდე ჭეშმარიტი მწერლობა კი არ მიდის, არამედ მათი მდარე ნაწარმოებები. ამდენი უწმაწური სიტყვა, აღვირახსნილობა საიდან მოდის? აბა, ჩავიხედოთ მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, თუნდაც, თანამედროვე მწერლების — ჭილაძეების, გეგეშიძის, დოჩანაშვილის შემოქმედებაში, როგორი სისადავეა. ბავშვი რომ ვიყავი, ყველაზე მნიშვნელოვანი პირადი ტკივილი მეგონა, მაგრამ მერე მივხვდი, ეროვნული ტკივილი ნამდვილი უბედურება ყოფილა. ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, საზოგადოების მხრიდან ამა თუ იმ საკითხებზე წაყრუებამ ასევე, ქვეყნის ბედის აშლილობამ, ჩვენი ცხოვრების წესმა გამოიწვია, რაც ძალიან მედარდება და სევდა მიპყრობს.

— სამშობლოს — ეს მივიწყებული სიტყვა, დღეს, ჩამორჩენილობის სიმბოლოდ იქცა. ეს რამ გამოიწვია?

— დიახ, სამშობლო ლექსიკონიდან, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია. ეს დიადი სიტყვა სასაცილო გახდა. დაგვცინიან — რაღა დროს პატრიოტიზმია, ვის უნდა შენი სამშობლოზე დაწერილი ლექსი, ცუდად ხომ არ ხარო. გამოქვეყნდა ჩემი ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც უნეტარესმა მართლმადიდებლობის ჰიმნი უწოდა, რაც ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. მას თემურ წიკლაური კაპელასთან ერთად ასრულებს. ალბათ, რამდენმა გაიფიქრა: რა დროს მართლმადიდებლობააო. საზოგადოება რომელიც რელიგიას ებრძვის, რომელსაც სანთელ-საკმევლის მადლი დაჰკარგვია, განა გასაკვირია, რომ შემოქმედებაში იგინებოდეს, უზრდელობდეს. ღმერთმა შეაქმნევინოთ ისეთი შედევრები, რომ გაოცებულნი დავრჩეთ, მაგრამ ურწმუნო ადამიანი ვერაფერს შექმნის. ბიბლიურ სამყაროზე დიდი სამყარო არ არსებობს. ქართველები ვიტყვით-ხოლმე: გვაქვს ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“. თუ ამაზე დიდი ხარ, კი ბატონო. სამწუხაროდ, დღეს, საზოგადოებას არსებობა გაუჭირდა. აბა, დავფიქრდეთ, რამდენად იშვიათად ვაწყდებით ადამიანური ტკივილებით სავსე პიროვნებებს. საზოგადოებრივი ტკივილი დაკარგულია. ერთი ადამიანი მეორეს ხვდება და არც კი უსმენს რა ჭირს, ზერელედ შეეკითხება: როგორ ხარო და გარბის. საზოგადოებრივი პრობლემები, ქვეყნის სატკივარი არავის აწუხებს. ამას ბევრად დიდი ფესვები აქვს, ვიდრე გვგონია. ამიტომ, ძალიან გამიხარდა თქვენი რედაქტორისგან ამ თემის წამოწევა, იქნებ, ჩვენს მიერ ატეხილმა ხმაურმა რაღაც შეაკავოს, გამოასწოროს, თორემ, მაშინ მივუშვათ ეს აღვირი და ასე, რა გამოვა?!

— ბატონო თემურ, აღშფოთება გამოიწვია რატიანის საქმესთან დაკავშირებით შსს მინისტრისთვის მწერალთა ერთი ჯგუფის მიერ გაგზავნილმა უსტარმა. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?

— ეს ინციდენტი, რაც რატიანსა



და პოლიციას შორის მოხდა, გასახარელი ნამდვილად არ იყო. განა, ხარატის ან რომელიმე სხვა პროფესიის ადამიანის გალახვა იქნებოდა დასაშვები? პოეტი უფრო თავშეკავებული უნდა იყოს. ჩვენ, ცხოვრებისგან, სიღარიბისგან ვართ გალახულები და კიდევ ცემა გვინდა?! მაგრამ ასე რატომ უნდა გამოვიწვიოთ ვინმე? ბავშვები გარდაიცვალნენ და ე.წ. დამცველებს მათზე ხმა არ ამოუღიათ, რატიანზე რა ამბავი შექმნეს. სად იყვნენ გირგვლიანის, რობაქიძის და სხვათა მკვლელობის დროს?! რატიანი, მგონი, უფრო ადვილად შეეგუა ამ ფაქტს, ვიდრე მისი დამცველები. ეს როგორ ხდება? მე რომ გაველახე ვინმეს, არც ვიტყოდი პოეტი ვარ-მეთქი, თუ თავად არ მიცნობდნენ. პოეტს მეტი არ მოეთხოვება? ვისი გალახვის მომხრე უნდა იყოს, საერთოდ, ქართველი მწერალი? გინდ პოეტი იყოს, გინდ მევენახე, გინდ მეურმე, რა მნიშვნელობა აქვს? მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ამ უწმაწური სიტყვებით გაჯერებულ ნაწარმოებებს კითხულობს და ეს შედევრები ჰგონია, ამ პრობლემას რა ვუყოთ?! ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს რა ვუყოთ, რომლებსაც სკოლის პროგრამიდან ყველაფერი პატრიოტული ამოუღეს და გაურკვეველ ტექსტებს ასწავლიან? რაც მესიზმრება, რომ წამოვდგე და ყველაფერი ვწერო, არ იქნება სწორი. შეიძლება მეც მესიზმრება ისეთი ამბავი, რომლის გამოქვეყნებაც არ შეიძლება. ამ თანამედროვე მწერლებს აღვირი ამოუვარდათ, რასაც ამოდება და მიხედვა უნდა.

— ვინ უნდა ამოსდოს აღვირი?

— ვინ და ერში იდეოლოგია უნდა არსებობდეს, რაც არ გვაქვს. ეროვნული განწყობის კაცი — დავით სოკოლოვი, ყველასგან მივიწყებულია, რაც ძალიან მედარდება. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ გადაცემაში თანაწამყვანი იყო, მისმა ქართულმა მომხიბლა.

— ამ გადაცემას მეც ვუყურე, განსხვავება ახლანდელ დიქტორებსა და დავით სოკოლოვს შორის, მართლაც თვალშისაცემი იყო.

— დიახ, ზოგი მათგანის მოსმენა, საშინელებაა — ერთი ამოსუნთქვით გვახრჩობენ, გვმოძღვრავენ, ყოვლისმცოდნე ჰგონიათ თავი, არადა როგორი ქართულით მეტყველებენ, შეძრწუნდებით. ვერ ხვდებიან, რომ ეს ქართული არ არის?! 15 წუთში სოკოლოვმა ყველაფერი დააწყნარა. ძველი თბილისის აშუღი ამბობს: სირცხვილი იმ გუთნის-დედას, ვინც წინაპრის საფლავს ხნავდესო. შე დალოცვილო, შექმენი ახალი, მაგრამ იმ ძველს, კარგს რას ედავები. გოგებაშვილი წერდა: რაც ჩემში მოძველებულად ჩათვალოთ, ამოიღეთო. ის კი არ უთქვამს წაშალეთ, აღარ მახსენოთო. შვილიშვილის წიგნებში ვიყურები და მრცხვენია. მაგალითად, მოცემულია ანა კალანდაძის ლექსი, რომელშიც სამი წერტილებია დასმული. დავალება შემდეგია: სამწერტილების ადგილას ანა კალანდაძის ლექსი ბავშვმა თავისი სიტყვებით უნდა გააგრძელოს. ანა კალანდაძის ლექსი ვინ უნდა გააგრძელოს, ეს როგორ შეიძლება? წელან ტელევიზიებზე ვსაუბრობდით. საოცარი რამ ხდება. მაგალითად, ჯაჯანიძე იცით, რას აკეთებს? პირდაპირ იწვევს ისეთ სტუმრებს, რომლებიც თამამად იგინებიან, ილანძღებიან, შიშვლდებიან და ა.შ. რაც ენაზე მოგადგება ყველაფერი უნდა მოვყვეთ? — ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. მეც ისე ვიმეტყველო, როგორც ჩვენი ტელე-მწერლები ტელევიზიებიდან გვმოძღვრავენ?! აბა, დაუკვირდით ბერძენიშვილის ლექციებს, მონოლოგი აქვს. როგორც კი ვინმე რამეს შეეკითხება, ეგრევე სხვა საკითხზე გადადის. ხალხი გაბრუებულია — რამდენი რამე იცისო, ამ დროს მათ აკრეტინებს. განსწავლულობა გონებას არ ნიშნავს და არც იმას, რომ პიროვნებაა და ცხოვრების წარმართვა შეუძლია. ზოგიერთის გონების ჭურჭელი ჭკუას ვერ უძლებს და შეიძლება გასკდეს. აი, კიდევ რაშია პრობლემა, თორემ უტვინო კაცი რას დაწერს არ მადარდებს, უფრო ჭკვიან, საშიშ ხალხზე ვსაუბრობ. ამ საშიშ ხალხთან „სოროსი“, ფული მუშაობს. წაიკითხონ სულხან-საბა, რომლის პრემიებსაც იღებენ. განა შეიძლება სულხან-საბა წაკითხული არ გქონდეს და მისი სახელობის პრემიას იღებდე?! მათ ვერავითარი პრემია ვერ უშველით, თუნდაც რუსთაველის პრემია ჩამოურიგონ. შალვა ნუცუბიძე წერდა: ვაი იმ კაცს, ვისაც ხარისხის მიშველიება სჭირდებაო. იგი, პირდაპირ აწერდა — შალვა ნუცუბიძე, თან ამბობდა: რად მინდა აკადემიკოსის მიწერა, განა, არ იციან ვინ ვარო.

— ბატონო თემურ, ახლახან, სკოლის პროგრამა ახსენეთ, რომელიც შვილიშვილმა დაიწუნა. ლომაიადან მოყოლებული მუდმივ რეფორმებში ვართ, წინსვლის კი არაფერი გვეტყობა.

8 გვ. →

მანანა ნიკოლაიშვილი:

განათლების მინისტრს ვთხოვ, ამ იდეისგან თავი შეიკავოს - ეს ინიციატივა მას მინისტროობის ვადას შეუმოკლებს

სკოლის გამოსაშვები გამოცდები შესაძლოა, რამდენიმე საგანში გაუქმდეს. ამჟამად განათლების სამინისტრო გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად, მოსალოდნელ ცვლილებებზე მუშაობს. კითხვას იგეგმება თუ არა სკოლის გამოსაშვები გამოცდებისა და უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდების გაერთიანება, განათლების მინისტრმა უპასუხა, რომ გაერთიანება არ იგეგმება, მაგრამ მუშაობა ორივე ტიპის გამოცდაზე მიმდინარეობს: „ გაერთიანება არ არის სწორი ფორმულირება, მაგრამ ორივე ტიპის გამოცდაზე ვმუშაობთ და ცვლილებები შესაძლებელია, ორივეს შეეხოს. განსაკუთრებით, სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. თუმცა, გაერთიანება ნამდვილად არ მოხდება. ეს ორი სხვადასხვა რამეა. გაუქმდება თუ არა გამოსაშვები გამოცდები ვნახავთ. ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა მოდელზე. გვინდა, რომ ჩვენი გამოცდების სისტემა კიდევ უფრო ეფექტური გახდეს. გამოცდების ოპტიმიზაცია მოხდება და გამოცდა რეალურად შეამოწმებს ცოდნას. შესაძლებელია, კონკრეტული მიმართულებით ცვლილებები წელსაც იყოს“ — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

განათლების სამინისტროში არ აკონკრეტებენ, რომელი საგნებში შეიძლება გაუქმდეს გამოცდები, თუმცა განათლების ექსპერტი ფიქრობს, რომ მოსალოდნელი ცვლილებები საბუნებისმეტყველო საგნებს შეეხება. მანანა ნიკოლაიშვილი დარწმუნებულია, რომ ამ ინიციატივის განხორციელება სკოლისმოსწავლეებისგან დაცლას და სასწავლო პროცესის ჩაშლასგამოიწვევს:

— გამოსაშვები გამოცდების რაოდენობის შემცირება ჩხენკელის ინიციატივა არ გახლავთ. ეს იდეა განათლების სამინისტროში თამარ სანიკიძის მინისტროობის დროიდან არსებობს, მაგრამ სანიკიძემ და ჯეჯელავამ სიბრძნე და წინდახედულება გამოიჩინეს და ამის განხორციელებაზე უარი თქვეს. სამწუხაროდ, მიხეილ ჩხენკელს ეს ყოვლად უვარგისი და მავნებლური იდეა მოწონს, ამიტომ მაინტერესებს იცის თუ არა, თავის დროზე რატომ დაინიშნა ეს გამოცდები?

— იქნებ, ჯერ მკითხველს განვუმარტოთ რატომაა გამოცდების რაოდენობის შემცირების იდეა უვარგისი და მავნებლური?

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენი განათლების სისტემა ყველაზე ხარისხიან ცოდნას მაშინ აძლევდა, როცა ბავშვები 9 და 12 გამოსაშვებ გამოცდას აბარებდნენ. გამოცდების გაუქმების შემდეგ კი საქართველოს სკოლები მოსწავლეებისგან დაიცალა. წლების წინ, მე და თქვენ ამ პროცესებს დინამიკაში ვაშუქებდით. ამოიღონ და ნახონ, როგორ ვაფრთხილებდი ხელისუფლებას, რომ ეს მავნებლური იდეა სკოლებს მოსწავლეებისგან დაცლიდა, არასრულწლოვნებში დანაშაულის სტატისტიკას გაზრდიდა და ა.შ. ზუსტად ასე მოხდა. სკოლა ჯერ მესამე საფეხურის მოსწავლეებისგან დაიცალა, შემდეგ მეორე საფეხურიც მიჰყვა და ბოლოს, სკოლაში მარტო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები დადიოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, სასწავლო პროცესს მოწყვეტილ არასრულწლოვნებში იმატა კრიმინალის შემთხვევებმა, ანუ ზუსტად ის პროცესები ვითარდებოდა, რისკენაც ახლა მივდივართ. მაშინ საკაშვილი იძულებული გახდა საგანგებო ზომები მიეღო. ჰუმანისტი ნოდია ამას ვერ გაატარებდა, ამიტომ სისტემაში შაშკინი შეიყვანეს. გამოსაშვები გამოცდები აღედგინეს და ეფექტური სადამსჯელო მეთოდებიც აამუშავებეს.

— გაცდენებზე დაწესებულ ზღვარს გულისხმობთ?

— არა მარტო ამას.. მანდატურის სამსახური შექმნეს, დირექტორები დასაჯეს და გაცდენებზე ზღვარი დააწესეს. დიახ, თუ ბავშვს გაცდენების 25% ჰქონდა, კლასში რომ არ დარჩენილიყო, ექსტერნის გამოცდებზე უწევდა გასვლა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაცდენების ზღვარი 30%-მდე აწიეს, რაც არასწორია. 30% ნიშნავს, რომ ბავშვი სასწავლო საათების 1/3 აცდენს და გაუგებარია, კლასიდან კლასში რატომ უნდა გადავიდეს? ნორმალურ უნივერსიტეტში სტუდენტებს ერთი ლექციის და პრაქტიკულის გაცდენის უფლება არა აქვს და ხშირად, ლექციებზე სიცხიანები დადიან. განათლების ხარისხი და დისციპლინა როგორ ამაღლდება, თუ ბავშვმა სკოლაში არ იარა? საინტერესოა, იციან თუ არა განათლების სამინისტროში, რომ ისეთი მძიმე საგნების დღეებში, როგორიც ფიზიკა და ქიმიაა, სკოლებში მოსწავლეთა დასწრება უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დროს? ამ საგნებში გამოცდებს თუ გააუქმებენ, მე-12 კლასელი სკოლაში ოთხი საგნის გამო ივლის? სკოლის დირექტორებისგან გავიგე, რომ მინისტრის ინტერვიუს შემდეგ, ვინც ამ ინიციატივის შესახებ გაიგო, იმ მოსწავლეებს ზარ ზეიმი აქვთ და გაკვეთილებზე აღარ დადიან. საოცარია, ბატონი მინისტრი ამბობს, რომ ბავშვებს შემოქმედებითი, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება უნდა განვითარდეთ და იმ საგნებში აპირებს გამოცდების გაუქმებას, რომლებიც მათემატიკასთან ერთად, ამ უნარებს ავითარებენ. დიახ, ლოგიკურ აზროვნებას ავითარებს მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია, დანარჩენი ლოგიკური აზროვნების მომხმარებელია.

— თქვენი აზრით, ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, განათლების ხარისხის გაუარესებას და მოზარდებში კრიმინალის მატებას უნდა ველოდოთ?

— ამის მიხვედრას დიდი წინასწარმეტყველობა არ ჭირდება. როცა მოსწავლეთა დასწრება იკლებს, როცა დისციპლინა ირღვევა, როცა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ჩაშლილია, როცა განათლების ხარისხი მინუსებშია გადასული, როცა აბსოლუტური უკონტროლობაა და სკოლის დირექტორები სასწავლო პროცესის დროს, ტრენინინგებზე დარბიან, კარგს რას უნდა ველოდოთ? დიახ, სკოლის დირექტორები, რომლებიც სკოლას სასწავლო პროცესის დასრულებამდე არ უნდა ტოვებდნენ, მასწავლებელთა სახლთან თანამშრომლობენ, ტრენინგებს ატარებენ და ორმაგ დაფინანსებას იღებენ. ბავშვების სიცოცხლე და უსაფრთხოება ამ ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანია და თუ დირექტორი ასეთი პასუხისმგებლობის ასაღებად მზად არ არის, სკოლა უნდა დატოვოს და ტრენინგები ატაროს, სადაც საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას უხდიან. სწორედ გაუზარებლად ჩატარებულმა რეფორმებმა და უკონტროლობამ წლების წინ, სკოლაში ვითარება იმდენად უმართავი გახადა, რომ საკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა დისციპლინის აღსადგენად, მანდატურების ინსტიტუტი შემოეღო და გამოცდებზე მოსწავლის ჩაჭრის შემთხვევაში, დირექტორის და მასწავლებლის პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა, რასაც ბოლომდე ვეთანხმები. ამ ქვეყანაში პასუხს არავინ არაფერზე აგებს. ქაოსი კი მაშინ იწყება, როცა პასუხისმგებლობა არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯიბიდან შევსებული ბიუჯეტიდან მოსწავლის ვაუჩერებზე მილიონები იმისთვის იხარჯება, რომ სკოლამ გამოცდაზე ბავშვის ჩაჭრა დაასაბუთოს. თუ ბავშვი ვერ ისწავლის, ატესტატს ვერ აიღებს, მიზანს ვერ მიაღწევს და მინიმალურ შედეგზე ვერ გავა, ამ ფულს რაში ვყრით? როგორ, ამაზე პასუხისმგებლობა არავინ უნდა აიღოს? დიახ, მართალი იყო საკაშვილი, როცა რვა გამოცდა შემოიღო და გამოცდების შედეგებზე პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორს და მასწავლებელს დააკისრა, მართალი იყო გაცდენების პროცენტი რომ დააწესა და თავისებურად მართალი იყო, როცა სკოლაში მანდატურების ბატალიონები შეიყვანა, მაგრამ ტყუოდა, როცა მანამდე, ანტიმეცნიერული რეფორმები განახორციელა. სწორედ ამან გამოიწვია სკოლაში დისციპლინის დარღვევა და ამიტომ გახდა აუცილებელი სკოლაში მანდატურების შეყვანა.

— გამოდის, რომ ჩვენთან ყოველი ხელისუფლება წინამორბედთა შეცდომებს იმეორებს და მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობს..

— იმიტომ, რომ ხელისუფლების ყველა შტოში მემკვიდრეობითობის პრინციპი გაწყვეტილია. ნაციონალების მოსვლისთანავე, სახელმწიფო უწყებებიდან ძველი თანამშრომლები გაყარეს და წინამორბედების შეცდომები რომ შეეხსენებინა, ასეთი არავინ დატოვეს. გამოცდილი კადრები ჰყოლო-

8 გვ.



წინაპართა საფლავის მხვნელები სამშობლოსაც ისე გაუთხრიან სამარეს, ხელი არ აუკანკალდებათ

6 გვ.

— პროგრამა რომ ჩამოყალიბდება, ხომ უნდა დამკვიდრდეს. ერთი მინისტრის ხუთ თვეში წასვლა ახალი პროგრამის დაწყებას ნიშნავს, ის ძველი ხომ იკარგება. ერთი ჭკუათმყოფელი კაცი ვერ იპოვეს. მახსოვს, გიორგი ჯიბლაძე, თამარ ლაშქარაშვილი 10–15 წელი მართავდნენ განათლების სამინისტროს. იმის მომხრე კი არ ვარ ერთ ადგილას გავყინოთ ვინმე, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე არ ჩანს. ვნახოთ, რას იზამს ახალი მინისტრი, იმედიანად ვარ. აქამდე, ზოგი ვაშლებზე ლაპარაკობდა, ზღაპრებიც დაგვიწუნა, ზოგი ბუღალტერი იყო, აღარაფერს ვამბობ, რაც ლომაიამ განათლებას დამართა. სკოლიდან იწყება ყველაფერი, სადაც სწავლება საშინელი პროგრამით მიდის, ტელევიზორს ჩართავ და შოუებში ტელე-ბიჭუნები ასეთ „შესანიშნავ“ შემოქმედებით საღამოებს ატარებენ. აბა, მითხარით: ბავშვმა რით იკვებოს?!

— ბატონო თემურ, წელს ფრანკფურტის წიგნის ფესტივალს საქართველო მასპინძლობს. თუმცა, როგორც არაერთხელ მსმენია, აქაც ასპარეზი ერთიდაიმავე წრეს ეთმობა და მხოლოდ მათი წიგნები ითარგმნება...

— კი არ ითარგმნება, თავად ეთარგმნინებიან. ოდითგან ასე იყო.

გალაკტიონის ლექსები არ იყო რუსულ ენაზე ნათარგმნი და ამ დროს, ისეთი პოეტების ლექსებს თარგმნიდნენ სიცილით მოკვდებოდით, კაცმა არ იცოდა მათი სახელი, მეც კი დამავიწყდა. სულიერად გაგვიჭირდა, ამიტომ, საჭიროა დღეს ნორმალური პოეტი, პროზაიკოსი ითარგმნოს. ძველი ანდაზაა: ძაღლი სახლში არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო. ზოგიერთის წიგნი სწორედ ასეა — აქ, არავინ იცის ვინ არის, დიდი ვერაფერი მწერალია და ევროპაში რომ აღიარებენ, თავი კიტრად მოაქვს ისე როგორც ამერიკაში სამთვიან კურსებს გაივლიან და თავს იწონებენ. არადა, ჩვენ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების სკოლები გვქონდა, რითაც მსოფლიო გაოცებული იყო. ახლა, მაჩვენეთ, ვინ ადგენს სასკოლო, უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოებს. ამიტომ, ნუ გაგვიკვირდება თუ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე უგემოვნო წიგნი ითარგმნოს. ვინც ეთარგმნინება, ვინც „ჩააწყობს“ ფრანკფურტის ფესტივალზეც მისი წიგნი წარმოჩინდება.

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ჩვენი კულტურა მდინარის გაღმა დარჩა.

— იმიტომ, რომ ფუნქციები ვერ გაიყვეს. მწერალთა კავშირი ერთიან ჯგუფს, თანამოაზრეთა შეკრებას ნიშნავს, რომელიც იცავს ქვეყანას, სამშობლოს. ვაი, იმ ქვეყანას, რომელიც მწერალთა კავშირს ყურადღებას არ მიაქცევს. აკაკი შანიძის ფუძემდებლურ სასწავლებელში მისი გრამატიკა რომ არ ისწავლება, რაღაზე ვლაპარაკობთ? შეიძლება, ჩვენმა სიტყვამ შედეგი ვერ გამოიღოს, მაგრამ აზრს ხომ ვაფიქსირებთ, ხომ მოვა თაობა, რომელიც ამას წაიკითხავს და ყველაფერს მიხვდება. ეს ხომ მაინც დარჩება.

— დღეს, სამწუხაროდ, კულტურა არ არის პროიორიტეტი, მაშინ რა საჭიროა კულტურის სამინისტრო?

— დიახ, მართლაც რა საჭიროა. რად უნდა კულტურას სამინისტრო თუ მაგალითად, მწერალთა კავშირს ძაღლად არ აგდებს. შე დალოცვილო, შემოქმედი ადამიანი 80 წლის გახდა, საიუბილეო საღამო არ უნდა აღინიშნოს, უნდა ვწვალობდეთ დაგვითმობენ თუ არა დარბაზს? ეს არის ერის სულიერება, დამშვიდებული ცხოვრება და თავისუფალი საქართველო? რად მინდა ეგეთი სამშობლო? ვისაც ხელეწიფება არ ფიქრობს და ვინც ფიქრობს ძალა არ გვაქვს.

— მაშინ როცა ქართველი მწერალი სულს ღაფავს, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მიდგომა მწერლებისადმი?

— სახელმწიფო ვისაც ერი ღირსეულად ჩათვლის, მას უნდა ეხმარებოდეს. ამ საკითხს ხაზარაძეები არ უნდა წყვეტდნენ. ფული ვისაც აქვს მხოლოდ ის კი არ არის მდიდარი, არამედ ვისაც გონება აქვს, როგორც დავით სარაჯიშვილი იყო. აბა, გამოჩნდეს ისეთი კაცი, რომელიც მოგებას არ ელოდება და ისე დაგაფინანსოს. ბოლოს, მინდა ამით დავამთავრო — მე უფრო დიდი საზოგადოებრივი ტკივილი მტკივა, რასაც ქვეყნის გადარჩენა ქვია, თორემ ოთხი კაცის მწერლობის შიში რომ მქონდეს, ბარემ, ახლავე, კუბოში ჩავწვებოდი და გამასვენებდნენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

განათლების მინისტრს ვთხოვ, ამ იდეისგან თავი შეიკავოს – ეს ინიციატივა მას მინისტრობის ვადას შეუმოკლებს

7 გვ.

და, სააკაშვილი იმ შეცდომებს არ დაუშვებდა, რომლებმაც თვითონაც და ქვეყანაც ჩიხამდე მიიყვანა. საქართველოს ხელისუფლებაში მემკვიდრეობითობა დარღვეულია და გამოცდილების არმქონე ახალგაზრდობა გვმართავს. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ უთქმელობაც აღარ შეიძლება.. ყველა ვხედავთ, რომ სკოლაში დისციპლინა თანდათან ირღვევა და გამოსაშვები გამოცდების შეკვეცა ბოლო აკორდი იქნება. მე ვიცი, რომ მიხეილ ჩხენკელი განათლების მინისტრად გრძელვადიანი პერსპექტივით არის დანიშნული და ეს ინიციატივა მას მინისტრობის ვადას შეუმოკლებს. განათლების მინისტრს თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ და ვთხოვ, რომ სასკოლო გამოცდებს არ შეეხოს. სასკოლო გამოცდები უნდა დარჩეს, ოღონდ ფორმატი უნდა შეიცვალოს და სხვაგვარი დატვირთვა მიეცეს. თუ რამე უნდა გაუქმდეს, ეს ეროვნული გამოცდებია. კარტოზიას მინისტრობის დროს, ანუ შევარდნაძის პერიოდში, ეროვნული გამოცდების ცენტრი იმ პირობით შეიქმნა, რომ რაღაც გარკვეული პერიოდი უნდა ემოქმედა. უცხოეთის ქვეყნებში ერთიანი ეროვნული გამოცდები არსად არსებობს, მაგრამ სასკოლო გამოცდები ყველგანაა. სკოლაში უნდა ჩატარდეს საატესტატო გამოცდები და ეს ყველაფრის გამოცდები იქნება. შეიძლება ბავშვებს ა+ბ ტესტი მისცენ, საიდანაც „ა“ ტესტით სკოლის ცოდნას შეამოწმებენ და „ბ“ ტესტი იმ მიმართულების იქნება, სადაც ბავშვი აბარებს. გამოცდები ისევ საგამოცდო ცენტრმა უნდა ჩაატაროს, მაგრამ პროცესებში გარკვეულწილად, მასწავლებლები და სკოლის დირექციაც უნდა ჩაერთოს.

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ოპონენტები გეტყვიან, რომ ეს კორუფციას გამოიწვევს.

— ეს არგუმენტი არაა. ყველაზე დიდი კორუფციული ცდუნება და შესაძლებლობები უმაღლეს ხელისუფლებას და მთავრობას აქვს და რა ვქნათ, სახლში გავუშვათ? ძალოვანი სტრუქტურები იმისთვის გვაქვს, რომ იმუშაონ და ერთს, ორს და ათს რომ დაიჭერენ, სხვა აღარ გააკეთებს.

ასე, რომ ჩხენკელმა სკოლის გამოცდებს თავი დაანებოს და გამოცდების ამ მოდელზე იფიქროს. ამასთან, სასწავლო პროცესი ხელშეუხებელი გახადოს და რეალურად აამოქმედოს ის მუხლი, სადაც წერია, რომ დირექტორი პასუხისმგებელია სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, რაშიც ბავშვის უსაფრთხოებაც შედის და სახელმწიფოს წინაშე პასუხს აგებს. სად არის დღეს ეს პასუხისმგებლობა? დაადგინოს გამოძიებამ სად იყვნენ ის დირექტორები, როცა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი მოსწავლე მოკლეს? ეს არის ფაქტი, რომელსაც შეიძლება ხელისუფლება გადააყოლო და ამათ დირექტორების გათავისუფლება არ უნდათ. ბავშვებს როგორ და რატომ ვთხოვთ პასუხისმგებლობას, როცა უფროსები პასუხს არაფერზე ვაგებთ? თქვენ გგონიათ, ბავშვები ვერ ხედავენ, როგორ გადის დირექტორი დამატებითი ფულის საშოვნელად სკოლიდან?

— მაღაზია „დელფოსი“, კლინიკა „მედი“,„მაგთის ოფისი“- ეს არასრულწლოვანთა მიერ ბოლო ორ თვეში გაძარცვული ობიექტების არასრული ჩამონათვალია. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?

— ეს კომპლექსური პრობლემაა და უამრავ საკითხს მოიცავს. ჯერ ერთი, ვფიქრობ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ მეტისმეტად ლოიალურია. დანაშაულისთვის ყველამ უნდა აგოს პასუხი სრულწლოვანმაც და არასრულწლოვანმაც. რა თქმა უნდა, მოზარდები ციხეში სხვა პირობებში უნდა იყვნენ, მაგრამ სასჯელი უნდა მოიხადონ.

— თუ ჩვენი მიზანი დამნაშავე არასრულწლოვანის გამოსწორება და რესოციალიზაციაა, ციხე ამისთვის შესაფერისი ადგილი არ უნდა იყოს..

— რომ არ დაიჭერ, მაგით გამოსწორდება? სწორედ სასჯელი და პასუხისმგებლობაა ის მუხრუჭი, რომ ადამიანმა ის არ გააკეთოს, რისი გაკეთებაც არ შეიძლება. სასჯელი რომ არ არსებობს, იმიტომ იქმნება არასრულწლოვანთა ბანდები და ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება. შექმნილი მდგომარეობა ზუსტად იმ ანტირეფორმების ბრალია, რასაც მოქმედი, წინა თუ იმის წინა ხელისუფლებები წლების მანძილზე ახორციელებდნენ. „ზოგადი განათლების კანონით“ სკოლას აღარ გააჩნია აღმზრდელობითი ფუნქცია, დედ-მამას კი შვილისთვის აღარ სცალია. კვლევებით დადგენილია, რომ მშობელი დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ, 7 წუთი ეკონტაქტება შვილს. საქართველოდან წასული მშობლების თემა კიდევ სხვა საკითხია. ასეთ რეალობაში, ბავშვებისთვის სკოლას და მის დირექტორსაც არ სცალია და სასწავლო საათების დროს, ტრენინგებს ატარებს..

— საუბრის ბოლოს, სამინისტროს კიდევ ერთ ინიციატივაზე გკითხავთ, რომელიც რელიგიის ისტორიის არჩევით საგანთა ნუსხაში ჩასმას ითვალისწინებს. თქვენი აზრით, ეს საგანი საერო თუ სასულიერო პირმა უნდა ასწავლოს?

— დავიწყოთ იმით, რომ რელიგიების ისტორია და კულტურა მართლმადიდებლური საგანი არაა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. მე რელიგიების ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეკითხებოდა და მართლმადიდებლობის გარდა, ვისწავლე კათოლიციზმი, ისლამი, იუდაიზმი, ბუდიზმი, და ა.შ. არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც რელიგიების ისტორიისა და კულტურის სწავლებას ეწინააღმდეგებიან. როგორ, განათლებულმა ადამიანმა ეს არ უნდა იცოდეს? რაც შეეხება საგნის მასწავლებლებს, სანამ სააკაშვილი საგნის სწავლებას გააუქმებდა, საერო პირები ასწავლიდნენ, რომლებმაც გია მურღულიას დახელოვნების ინსტიტუტში გაიარეს გადამზადება. ის კადრები დღესაც არსებობს, თანაც სასულიერო აკადემიას უამრავი ახალგაზრდა ამთავრებს და მათაც შეუძლიათ სწავლება. ეს ადამიანები მარტო მართლმადიდებლობას კი არ სწავლობენ, მსოფლიოში არსებულ ყველა რელიგიაზე და სექტაზე აქვთ წარმოდგენა. ასე, რომ სპეციალისტები საძებნელი არ გვაქვს და იმ პრობლემებს მივზედოთ, რომლებიც მართლა მისახედია..

ნელი თორდია
571 35 36 88

მამა ბასილი (მკალავიშვილი):

მეშინია, სანამ მეუფე შიოს პატრიარქად აირჩევდნენ, მანამდე არ მოახდინონ ბნელმა ძალებმა მისი ლიკვიდაცია

ზვიად გამსახურდია სამეგრელოში კი არა, თბილისის აეროპორტში მოკლეს



ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.

– მამაო, ჯერ არსად არაფერი გითქვამთ პატრიარქის ახალ თანამოსაყდრეზე. რა აზრის ხართ მასზე?

– ილია მეორემ კარგად უწყის, წარსულში როგორ ირჩევდნენ პატრიარქებს. გაურკვეველ მდგომარეობაში როგორ კლავდნენ წინა პატრიარქს და მის ადგილს სხვა იკავებდა, ამიტომაც ილია მეორემ 23 ნოემბერს ყველასგან მოულოდნელად თვითონ დაასახელა მოსაყდრე, რამაც დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საპატრიარქოში, კერძოდ, იმ მეუფეებს შორის, რომელთა ოცნება პატრიარქის სავარძლის დაპატრონება იყო. თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, პატრიარქს ნიშნავდა უშიშროება, ან რელიგიის საქმეთა საბჭო.

მაგრამ, ამჟერად, სულ სხვა პრობლემებია, რამეთუ „ნაცმოძრაობას" თავისი კანდიდატი ჰყავს, „ოცნებას" – თავისი. აქედან გამომდინარე, პატრიარქმა თავი აარიდა მოსალოდნელ გართულებებს და თვითონ დაასახელა მოსაყდრე.

– თქვენ არ ამბობთ, როგორია თქვენი შეხედულება მეუფე შიოზე!

– როგორც ვიცი, ის არც ერთ ბინძურ საქმეში არ არის გარეული ისე, როგორც სხვა ეპისკოპოსები. ახლა მთავარია, სანამ მეუფე შიოს დაასახელებენ პატრიარქად, მანამ არ მოახდინონ ბნელმა ძალებმა მისი ლიკვიდაცია, განსაკუთრებით კი იმ ეპისკოპოსებმა, რომლებიც ასე გამალებით ილტვიან პატრიარქობისთვის.

– ეჭვები ვინმეზე გაქვთ?

– ეს რა ძნელი მისახვედრია, საპატრიარქოში ისე ღიად და სამარცხვინოდ ებრძვიან ეპისკოპოსები ერთმანეთს, რაც ყოვლად მიუღებელია ღვთის მსახურთათვის. ამ სავალალო ფაქტს მთელი ერი უყურებს. საკაშვილის მეხოტბე ეპისკოპოსები ისე გაშმაგებით იბრძვიან პატრიარქის სავარძლისთვის, უკან არაფრით დაიხევენ მიზნის მისაღწევად. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ლიბერალური, ღვთისა და ერის მოღალატეთა ფრთა საკმაოდ დიდი ბირთვია, რომელიც ხნის მსოფლიო დონის კრიმინალის – სააკაშვილისგან ელიან, ხოლო ყველანი ერთად დახმარებას ამერიკიდან ხედავენ, რათა მართლმადიდებლობას ძირი გამოუთხარონ და დააბრკოლონ მათთვის მიუღებელი კანდიდატი.

უარესსაც გეტყვით. მსოფლიო პატრიარქს ნიშნავს მსოფლიო მასონური ორგანიზაცია, უშუალოდ კი რომის პაპი. გაიხსენეთ ბოლო სამი მსოფლიო პატრიარქი. ისინი ჯერ ამთავრებენ, ანუ მოსამზადებელ კურსს გადიან რომის კათოლიკურ სასწავლებელში და შემდეგ ირჩევენ მსოფლიო პატრიარქად. მსოფლიო კათოლიკურ-ეკუმენისტურ ე.წ. ეკლესიას არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებლობასთან.

– როგორია თქვენი მოსაზრება ქართველი ეპისკოპოსების ამასწინანდელ ვიზიტზე ამერიკაში?

– რატომღაც ამ ვიზიტთან დაკავშირებით საზოგადოებას ძალიან მწირი ინფორმაცია მიეწოდა. სარწმუნო წყაროების საფუძველზე ვფლობ ინფორმაციას, რომ ამ ვიზიტამდე ექვსი თვით ადრე ამერიკის სელჩომ დაიწყო იმ ეპისკოპოსების შერჩევა, რომლებიც ამერიკაში გაემგზავრებოდნენ. როგორც იქნა, შეარჩიეს 12 ეპისკოპოსი, მიზანმიმართულად. აქედან, 6 ეპისკოპოსი, სააკაშვილის მიმდევრები არიან, ხოლო მეორე 6 იერარქმა, სამწუხაროდ, იქ ჩატარებული შეკრების შემდეგ გვამცნეს, რომ ჩვენი ხსნა ოკეანის გაღმელთაგან მოდიოდა.

ყოველივე ეს უტყუარი ფაქტია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის სადავეები ჩვენს ხელთ არ არის.

მე ჯერ კიდევ მაშინ მებრძოდნენ, როცა ხმამაღლა ვაცხადებდი, რას გვიქადდა სოროსის მიერ აგენტურული მისიით შემოგზავნილი იეღოველთა სექტა. მაშინ არავინ მისმინა, გვერდით არავინ დამიდგა. მხოლოდ მე, ჩემი მრევლით და აკადემიკოსი გურამ შარაძე ვიბრძოდით მართლმადიდებლობის დასაცავად. სწორედ ამიტომ, სააკაშვილს მისცეს ბრძანება, მოვეცილებინეთ მე და ბატონი გურამ შარაძე. მე 5 წლით ციხეში გამომამწყვდიეს, ხოლო ბატონი გურამი დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში უმოწყალოდ დახვრიტეს.

მას შემდეგ სრული თავისუფლება მიეცათ მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტრებს – პირსისხლიან სააკაშვილს, მის მამა-მარჩენალ სოროსს და სხვებს – შინაურს თუ გარეულს. უტევენ, მაგრამ დედა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში სატანა ტახტს ვერ დაიდგამს.

– მაგრამ არიან მღვდლები, რომლებიც თქვენზე ამბობენ: პატრიარქის ლოცვა-კურთხევას არ ასრულებდა და იმიტომ განკვეთესო.

– ვეთანხმები ვაი-მღვდლებს. მართლაც არ ვასრულებდი პატრიარქის უკანონო ლოცვა-კურთხევას.

– რას გულისხმობთ უკანონო ლოცვა-კურთხევაში?

– ძალიან ბევრ რამეს. პირველ რიგში, 1991–92 წლებში რაც მოხდა, ყველამ უწყით. პუტჩისტებმა როგორ ჩამოაგდეს საქართველოს დამოუკიდებელი პირველი პრეზიდენტი და როგორ განდევნეს სამშობლოდან, ბოლოს კი მუხანათურად მოკლეს თბილისის აეროპორტში შევარდნაძის თანდასწრებით. მაშინ ზვიადის მომხრეები ბევრი ციხეში გამოამწყვდიეს. ასევე ბევრი მისი მხარდამჭერი ქუჩებში დახვრიტეს. სამსახურიდან ათავისუფლებდნენ, ბოლოს იქამდე მივიდნენ, ეკლესიებიდანაც კი ერეკებოდნენ. მე ვიყავი ერთადერთი მღვდელი, რომელმაც შევიფარე ისინი გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

ამ დროს ჩემთან მოვიდა **პატრიარქის ძმა ვიქტორი** სხვა სასულიერო პირებთან ერთად. მომთხოვეს, დამეთხოვა ისინი ეკლესიიდან.

ეს იყო პირველი ლოცვა-კურთხევა, რომელიც არ შევასრულე.

მეორე ლოცვა-კურთხევა, რომელიც არ შევასრულე, ის იყო, რომ მე დავდიოდი საავადმყოფოებში და მიტინგებზე დაჭრილი ზვიადისტების მოსანახულებლად, ლოცვებს ვუკითხავდი მათ და ვაზიარებდი.

მესამე, საპატრიარქომ მკაცრად ამიკრძალა ციხეში შესვლა და პატიმრების ზიარება. პატიმრებს შორის სიკვდილმისჯილები იყვნენ: ლოთი ქობალია, პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე. მე მართლმადიდებელი მღვდელი, ღმრთისა და სამშობლოს წინაშე ვალდებული ვიყავი, გაჭირვების ჟამს ვმდგარიყავი იქ, სადაც ჩემს ერს უჭირდა, უჭირდათ პატიმრებს, სიკვდილმისჯილებს. მათ მიხედვას თვით უფალი გვავალებს. სიცოცხლის რისკის ფასადაც კი შევდიოდი საპყრობილეში და ვაზიარებდი მათ.

ყოველივე ამის შემდეგ, შევხედე და თვალი გავუსწორე რეალობას: სამღვდელოებას საერთოდ არ აინტერესებდა ერის ჭირ-ვარამი და მხოლოდ პირადი ინტერესებით იყვნენ შემოფარგლულნი. აღვიქვი, რომ მათთან არაფერი მესაქმებოდა და გადავწყვიტე, დროებით განვშორებოდი მათ. მათლაც გამოვეყავი და დავემორჩილე საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს.

– მამაო, თქვენ ზემოთ ბრძანეთ, ზვიად გამსახურდია აეროპორტში მოკლესო. ყველამ ვიცით, რომ ის სამეგრელოში გარდაიცვალა. რის საფუძველზე აცხადებთ ასეთ სკანდალურ ამბავს?

– მე ადრეც ვთქვი ამაზე და კიდევ გავიმეორებ: ჩემთან მოვიდა სენაკის აეროპორტის ელექტრიკოსი, რომელმაც თქვა, რომ სენაკში პრეზიდენტი მიცვალებული ჩაასვენეს. ერთი ჩემი სოფლელიც, რომელიც ასევე თბილისის აეროპორტში მუშაობდა, მომიყვა, რომ იმ თვითმფრინავში, რომელშიც ზვიად გამსახურდია იმყოფებოდა სენაკში გასამგზავრებლად, შევიდა შევარდნაძე და გია გულუა. იქ რა მოხდა, არავინ იცის. შევარდნაძეს საკუთარი თვალით უნდოდა ენახა მკვდარი გამსახურდია. ამ ამბის შემდეგ პრეზიდენტი ცოცხალი არავის უნახავს. ამიტომ არსებობს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდია სამეგრელოში კი არა, სინამდვილეში თბილისის აეროპორტში მოკლეს...



ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ცისფერი კომისრები“, „ბახალები“ და თეთრი ყვავები

„ბახალას“ ამბის გარშემო დიდი დისკუსიაა გამართული. ჭორები ვრცელდება, დიდ რაოდენობას ასახელებენო – ესეც ითქვა; არა, „ის“ კი არ ჰქონდა „ეს“ ჰქონდაო; არა, არაფერი არ ჰქონდაო; ჰქონდა, მაგრამ თავისთვისო... სხვათაშორის, იმასაც ამბობენ, რა ჩადებაზეა საუბარი, რა წრეშიც „ბახალა მოძრაობდა“, სწორედაც რომ ვერ გაუბედავდნენ ჩადებასო.

ერთი „ბახალა“ და ნარკოტიკის დიდი ოდენობით დაბრალება კი არა, ყველა ცოდოა რაიმეს დასაბრალებლად, მაგრამ თუ არავინ აბრალებს ვინმეს რამეს და მართლა სახეზეა დანაშაული, რა ვქნათ, დამნაშავედ არ უნდა სცნოს სასამართლომ ერთი ჯგუფის შიშით? დავიჯეროთ, კონკრეტულ მოსამართლეებს საქმის მასალები კი არ აძლევენ საფუძველს, პირადი შურისძიება ამოძრავებთ კონკრეტული პირების მიმართ? და ეს კონკრეტული პირები, რატომღაც, მაინც და მაინც ხელოვანი ან ხელოვნებასთან დაკავშირებული ადამიანები რატომ არიან?

მოგერიდება კაცს გვარ-სახელების ჩამოთვლა იმ პირებისა, რომლებიც ხელოვნების მსახურებასთან ერთად ნარკოტიკების მოხმარება-გასაღებასაც კარგად ემსახურებიან, ბევრად უკეთ, ვიდრე საკუთარ საქმეს, მღერა იქნება თუ ცეკვა, დაკვრა იქნება თუ წერა; ხატვა იქნება თუ როლის შესრულება და ა.შ ეს ხალხია დაკავშირებული კლუბებთან თუ რესტორნებთან ხოლო რამდენი ღამის კლუბია დღეისათვის თბილისში, სადაც ახალგაზრდობა ერთობა? გართობა ჰქვია, თორემ რეალურად ნარკოტიკზე რომ არის საკმაოდ სერიოზული მოთხოვნა გასამხიარულებლად და სასმელში გახსნილი ნარკოტიკი იყიდება, ვითომ სიცრუეა? „საცეკვაო ნარკოტიკი“ ვითომ აღარ არის მოდაში?

კაფე „გალერიში“ რომ ახალგაზრდა გარდაიცვალა ნარკოტიკის მიღებით, მაშინ ატყდა ყაყანი, დაიხუროსო, მაგრამ ერთი „გალერი“ იყო და დამთავრდა? „ბიო“ (ხელოვნურად გამდიდრებული მარიხუანა)Aარ კლავსო – ამბობდნენ. არ მაგონდება ფართო საზოგადოებას გაეგო, რომ ახალგაზრდა „ბიო-ს“ ერთ-ერთი სახეობით, მეფედრონით გარდაიცვალა, რომელსაც ნარკომომხმარებლები „აბაზანის მარილის“ სახელით იცნობენ...

ახალგაზრდა გოგონა აგერ ახლახანს, რამდენიმე თვის უკან შეიწირა ე.წ კლუბურმა ნარკოტიკმა, მაგრამ ამ ტრაგედიიდან მე-2 დღეს კიდევ 5 ახალგაზრდა გადაიყვანეს საავადმყოფოში ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, მთლიანობაში კი, იმ დროისათვის ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ათეულობით ახალგაზრდა მოხვდა...

კონკრეტულ დანაშაულზე, რაც ნარკოტიკების დიდ რაოდენობას ეხება, პირს თავისუფლების აღკვეთა 8-იდან 20 წლამდე ან უვადოდ ეხებაო და ეს ცინიზმია, როცა განზრახ მკვლელობაზე 7-იდან 15 წლამდეაო... ამ ერთ კატეგორიას რომ ჰკითხოს კაცმა, ნარკოტიკი არ კლავს, აფრთიანებს...

საინტერესოა, ვინმემ ჰკითხოს მათ, განზრახ მკვლელობაზე რომ გაიზარდოს აღკვეთის ვადები, ამაზე რას იტყვით პატივცემულებოო? თუმცა კითხვაც არა არის საჭირო, პასუხი იქნება, არაადექვატურიაო...

უსამართლო სისტემის მორიგი მსხვერპლი! – გაცვდა ყური ამ ფრაზით! თან ვინ არიან ამ ფრაზას რომ ამბობენ – 2012 წლის 1 ოქტომბრამდე უსამართლო სისტემის მორიგი კი არა, არაფრის და არანაირი მსხვერპლი რომ არ შეუმჩნევიათ, განურჩევლად ყველა რომ დამნაშავე იყო და იმიტომ იჭერდნენ, ან სულაც, კლავდნენ...

„მორიგი“ – ვის შემდეგ, ვინ იყვნენ მანამდე „მსხვერპლები“, ნარკოტიკების მომხმარებლები თუ გამსაღებლები?

კაცმა რომ თქვას, საინტერესოა კიდევ ერთი რამ – შეწყალების თხოვნაზე ხელმოწერების შეგროვება. არავის აქვს შეწყალების საწინააღმდეგო, მაგრამ ადამიანი არ ამბობს დავაშავე და ვნანობ, მეტს აღარ დავაშავებ, ამ ერთხელ მაპატიოთ იქნებო და პრეზიდენტმა რატომ უნდა შეიწყალოს? ადამიანი ამბობს, რომ არ შეწყვეტს ბრძოლას ციხიდანაც, არ მქონდა არაფერი და ვიბრძოლებ ამის გამოო და ესენი რის გამო შეწყალებას ითხოვენ თუ შესაწყალებელი არაფერია?

ნარკობარიგობით განთქმული ერთ-ერთი ცნობადი სახე სახელმწიფოს თუ ხელისუფლებას დამუქრებია, თუ ამ ქვეყანაში ნარკოპოლიტიკა არ შეიცვლება, იძულებული ვიქნები, საერთოდ გადავიხვეწო აქედანო. ხალხი კი მისძახის, ისემც გიქნიათ ყველა „ბარიგა“ მოუსავლეთში გადახვეწილხართო, მაგრამ ვინ სადაა გამქცევი, მშვენივრად, თბილად და ტკბილად არიან მოკალათებულები და წამლავენ მომავალ თაობებს...

სასწაული ხალხი ვართ საქართველოში, ერთსა და იმავე დანაშაულისთვის ნაწილი დამნაშავის დასჯას ითხოვს, ნაწილი – დაუსჯელობას. კახა მამულაშვილს („მამულიჩას“) რომ 5. 591 გრ კოკაინი, 1,15 კანაფის ფისი და ე.წ „ექსტაზი“ 0, 2048 გრამი აღმოაჩნდა და ბანდალ-ბანდალით მიჰყავდათ სამართალდამცველებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, რატომ გაანთავისუფლეს გირაოს სანაცვლოდო, – ბრაზობდა ხალხი, არადა, იმავე ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარები უდგებოდნენ თავდებში; ახლა გიორგანაშვილი დააკავეს და რატომ დააკავესო...

კაცმა რომ თქვას, მართალია ის ხალხი, ვინც გიორგანაშვილის დაკავებას აპროტესტებს და სასამართლოს შენობის ფანჯრებს აგურს ესვრის უსამართლობის კერასთან ბრძოლის სახით. თვითონაც ნარკოტიკთან (მარიხუანა) დაკავშირებით ჰქონია პრობლემა კანონთან ბექა წიქარიშვილს და ისროდა გიორგანაშვილის გამო, აბა, რას იზამდა. თუშური ანდაზაა, თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსო...

სწორედაც რომ არ უნდა დაეკავებინათ გიორგი გიორგანაშვილი. აბა, როცა იმავე დანაშაულისთვის სხვას უშვებ, „ბახალას“ კი უსჯი, სამართალი სად არის? „მამულიჩას“ აღმკვეთი ღონისძიება, პატიმრობა 15 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა, რასაც, როგორც ფაქტი გვიჩვენებს, ბრალდების მხარეც უყოყმანოდ დაეთანხმა და ბრალდებულმა შინისაკენ გასწია, 20 000-ლარიანი გირაოთი „ბახალამ“ რატომ ვერ გასწია შინისაკენ? „მამულიჩა“ თუ არ იყო პაბლო ესკობარი, „ბახალა“ აღმოჩნდა?

მოკლედ რომ ვთქვათ, შერჩევით სამართალს კი არ აპროტესტებენ, ზოგადად, ნარკოტიკებთან დაკავშირებით დაკავებას და ბრალის წაყენებას აპროტესტებენ...

„მამულიჩა გამოუშვეს! ყოჩაღ, ლელა! გზა მიშას კარის მომღერლობიდან „ოცნების“ კარის მომღერლობამდე“ – წერდა მაშინ ჟურნალისტი ელისო კილაძე, ახლა კი, გიორგანაშვილის დაკავებას აპროტესტებდა და საკუთარი შვილის უდანაშაულობაზე იგავ-არაკობდა...

„საბრალო ბახალა“ არის თუ არ არის „საბრალო“, მაინც ვერ დადგინდა რიგითი მოქალაქეებისთვის, მაგრამ როცა პრეცედენტი დადგა, იგივე „მამულიჩა“, იდენტურ ნარკოდანაშაულში ბრალდებული პირი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს – რის საფუძველზე, უცნობია; პროცესი ისე ჩატარდა რომ ჟურნალისტებს სხდომათა დარბაზი დაუმალეს. ამას რა ჰქვია, ლელა წურწუმია მდგარა კანონზე მაღლა? ახლა გიორგანაშვილის მეუღლეც „საბრალოა“ უკვე, ვერ იკანონა, ვერ გამოაშვებინა სასამართლო დარბაზიდან მეუღლე... საინტერესოა, ლელასთან არ მიესვლებოდა „ბახალას“ მეუღლეს? – ეცადა მაინც. რა ვიცი, „მამულიჩას“ დაკავება-გამოშვებაზე ირაკლი ვაჭარაძე ბობოქრობდა, ლევან აბზიანიძე „პლანის“ სავარაუდოდ მოწევის ეჭვის გამო მოკლეს და ეს ნარკობარიგა უკვე მერამდენედ უსხლტება ციხეს. „ნაცების“ ბრალია, ლელას გამო ასჯერ რომ შეიწყალესო და ეგებ დახმარებოდა გაკვალულ ბილიკზე... ზვიად კვაჭანტირაძე მაინც სად შეიმალა, „მამულიჩას“ თუ ესარჩლებოდა, „ბახალას“ რატომ არ გამოესარჩლა?

როგორც აღვნიშნე, ერთი კატეგორიის ხალხი აპროტესტებდა ნარკოპოლიტიკას და ერთი კატეგორიის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები („ბახალა“ ამ შემთხვევაში მიზეზი არის), ისინი, რომლებიც უცხოური გრანტის ჭამაში არიან გაწაფულები და რას გააპროტესტებენ, მნიშვნელობა არ აქვს.

მარიხუანის მოხმარება სასარგებლო ყოფილა ჯანმრთელობისთვის; ნარკოპოლიტიკა შესაცვლელი, ძალიან სიმკაცრეა თურმე და ნარკოლიბერალიზაციაა საჭირო, ანდა, სულაც, დეკრიმინალიზაცია უკეთესი ყოფილა. პარლამენტში ვითომ რაღაც ძვრა იყო და ისევ ჩაჩუმებულან, რა წესია ესაო, – ამჯერად ამას აპროტესტებდა მანამდე დაჟინებული მზერებით შეწუხებულ-აღშფოთებული ბაია პატარაია...

„არ იქნება დეკრიმინალიზაცია, არ იქნება მშვიდობაო“ – მაშასადამე, პირთა ჯგუფისთვის მშვიდობა ნარკოტიკის თავისუფლად მოხმარებასთან ასოცირდება. ამაზე მეტად გამოთაყვანება რომ მოუნდება ადამიანს, რაღა უნდა უთხრა, რას შეასმენინებ... სწორედ აქედან გამომდინარე უყვირეს აქციის მონაწილეებმა გამვლელ მონაზონს და მიალანძღეს საპატრიარქოც, შს მინისტრმა თქვა, პროცესები უნდა დაჩქარდესო, მაგრამ ეკლესიის ბრალია ლიბერალური ნარკოპოლიტიკის გატარების პროცესი რომ გადაიდოო... აქციაზე შეკრებილი აღშფოთებულების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, არ სდომებია ხალხს არც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია-დეკრიმინალიზაცია და არც „ბარიგები“ თუ ნარკოტიკის მომხმარებლების მხარდაჭერა...

მამა გიორგიმ (რაზმაძე) თქვა, „ცისფერი კომისრების“ მიერ მართული ნაძირალების ხროვა გვყავსო; ნარკოტიკების თემა შემოგდებულია რათა ახალგაზრდობა დაღუპონო...

მისი თქმისა არ იყოს, ისეთი სურათი იხატება, რომ ვიღაცების გამიზნული მოთხოვნაა „ჩაკაიფებული საქართველო“ და რადგან ჯერჯერობით მაინც ვერ ხერხდება მიზანთან მიახლოება, გამიზნულად ხდება ძალოვანი სტრუქტურების დაშანტაჟება.

გიორგი ჩხეიძე

პანკისის ხეობის სამკუთხედი



სალაფიტები, იგივე ვაჰაბიტები, ან აჰლუ ლ–ჰადისი წარმოადგენენ სუნიტური ისლამის ულტრაკონსერვატიულ განხრას, რომელთა იდეაფიქსი არის ისლამის საწყისებთან დაბრუნება. ისინი ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ რელიგიურ სიახლეებს, ასევე ადგილობრივ ადათებსა და ტრადიციებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ისლამთან. ისინი გამოირჩევიან ისლამური ტექსტების ფილოსოფიური გააზრების უარყოფითა და მათი მნიშვნელობის პირდაპირი მიღებით. სალაფიტური და შიიტური ფუნდამენტალიზმი ერთი საკაცობრიო იდეალის განხორციელებას, ერთურთის უარყოფით ცდილობენ. სუნიტი ფუნდამენტალისტების მხრიდან მრავალი საუკუნეა გაისმის ბრალდებანი შიიტთა, განსაკუთრებით კი ისმაილიტთა მიმართ, რომ ხალიფათის ერთიანობა შიიტებმა დაარღვიეს. ტრადიციისამებრ საუდის არაბეთში სიკვდილმისჯილებს თავს კვეთენ. საუდის არაბეთში

დომინანტურ რელიგიად სუნიზმის სალაფიტური მიმდინარეობაა აღიარებული. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას კიდევ 52 მსჯავრდებული ელოდება. საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტის მიუხედავად საუდის არაბეთის ხელისუფლება განაჩენის გადახედვას არ აპირებს...

კითხვაზე, რატომ ახდენენ პანკისის ასოცირებას ტერორიზმთან. პანკისის სალაფიტური თემის იმამი ბექხან ფარეულიძე ასე პასუხობს: ძირითადი მიზეზი არის ის, რომ სადღაც 2000 წელს აქ დიდი რაოდენობით ბოევიკები იყვნენ და რთულმა სიტუაციამ ხელისუფლებას პანკისის ხეობის გაკონტროლებაში ხელი შეუშალა. აქ ხალხს იტაცებდნენ, ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ და სხვა საშინელი ამბები ხდებოდა. სამწუხაროდ, ეს იმიჯი შემოგვრჩა და ვერაფრით ვახერხებთ მის თავიდან მოშორებას იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი რაღაცეებისგან ძალიან შორს ვართ. ასევე მგონია, რომ სხვადასხვა ორგანიზაცია გარკვეულ მოგებას ნახულობს ასეთი რეპუტაციის მქონე ადგილზე ყოფნით. ისინი ამტკიცებენ, რომ აქ ძალიან დაძაბული სიტუაციაა და ამით დიდი გრანტების მიღებას ცდილობენ... პანკისიდან სირიაში ახალგაზრების წასვლას სალაფიტური თემის იმამი ასე ხსნის: „ახალგაზრდების უმრავლესობა ამ ქვეყანაში დამკვიდრებას ვერ ახერხებს, მათ მომავალი არ აქვთ. ჩვეულებრივ ისინი თურქეთში, უკრაინაში ან ევროპაში გადადიან. მათი უმრავლესობა, ვინც სირიაში აღმოჩნდა, იქ თურქეთიდან გადავიდა.

მაგრამ არის ადამიანების სხვა ტიპიც – ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მიმდინარეობს ომი ღმერთისთვის, სირიაში მყოფი ხალხისთვის. ისინი ხედავენ თუ როგორ მხეცურად ხოცავენ ქალებს, მოხუცებს და იქ მათ დასახმარებლად მიდიან. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, იქ საქართველოდან ცოტა ხალხი იმყოფება“. იმამი, სუფისტებსა და სალაფიტებს შორის უთანხმოებაზეც საუბრობს: „უწინ უხუცესთა საბჭო არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც სამთავრობოდ გადაიქცა. ჩვენ პატივს ვცემთ უხუცესებს, სხვადასხვა საკითხზე მათგან რჩევებს ვიღებთ. მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, კარგი ურთიერთობა გვაქვს. ბუნებრივია, არსებობს გამონაკლისები, მაგრამ საერთო ჯამში სურათი ასეთია. მთავრობა ცდილობს, მათი საშუალებით ხეობაზე როგორმე გავლენა მოახდინოს, მაგრამ დღესდღეისობით, მათ არავითარი რეალური ძალა და როლი არ გააჩნიათ ხეობაში. თუმცა, მთავრობა მაინც ცდილობს ამ ორგანიზაციის გაძლიერებას და ბერკეტების მიცემას. აქ არ არის და შეუძლებელია იყოს დაპირისპირება. ეს მხოლოდ კონკრეტული პირების და არა ჯგუფის დონეზე ხდება“, – ინტერვიუში ბექხან ფარეულიძე პანკისის ხეობაში სალაფიტების როლზეც საუბრობს: „თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლიათ იხილონ, რა როლი ითამაშეს სალაფიტებმა პანკისში მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოფხვრაში. ხალხს იტაცებდნენ, ყიდიდნენ ნარკოტიკებს და ჩადიოდნენ მკვლელობებს. დღეს ვერ იპოვით ვერცერთ ადამიანს, ვინც ყიდის ან ყიდულობს ნარკოტიკს; ძალიან რთულია მათი პოვნა, ვინც სვამს ან ქუჩაში ეწევა. რა თქმა უნდა, ასეთები არიან, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ადრე. თქვენ ვერ გაიგებთ, რომ ვინმემ ცოლი მოკლა ან ზიანი მიაყენა ოჯახს.

მაგრამ სიცრუის გამავრცელებელ, დამარცხებული ხალხის, სისხლზე დაგეშილ, გვამებზე მოცეკვავე ტელევიზიას, წამება, გამოძალვა, ძალადობა, გაუპატიურება, ხალხის და განსაკუთრებით ახალგაზრდების სიკვდილი, ძალიან გვიან, რომ „ატკივდა“ ფაქტია!...

არახალია, რომ “ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერების განსაზღვრული ნაწილი წარმოშობით საქართველოდან არიან, უფრო ზუსტად კი – პანკისის ხეობიდან. ჩეჩნეთის მეორე ომის წლებში პანკისის მცხოვრებთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან იქ ბევრი ლტოლვილი ჩავიდა, მათ შორის „ბოევიკებიც“. საქართველოს ხელისუფლების წაყრუებით პანკისში მყოფი ჩეჩენი „ბოევიკებისა“ და მათ დასახმარებლად ჩასული უცხოელი დაქირავებულებისადმი 2000-იანი წლების დასაწყისში არასასიამოვნო სიტუაცია შეიქმნა: ქისტების რელიგიური ცხოვრების ტრადიციულ ყაიდაში „ახალმა სიომ დაჰბერა“ – გაჩნდა ვაჰაბიზმი. ახალგაზრდებმა ვაჰაბიზმში ერთადერთი რელიგიურად ჭეშმარიტი გზა დაინახეს. შედეგმაც არ დააყოვნა: ისინი ტრადიციულ ისლამს და მის ამღსარებლებს – უფროს თაობას დაუპირისპირდნენ. უფრო მეტიც: უფროსების ნაწილს ახალგაზრდები იმასაც საყვედურობდნენ, რომ პანკისში ქართული ტრადიციების გავლენას წინააღმდეგობას არ უწევდითო, რაც „ახალ მუსულმანებში“ სიმპათიებს იწვევდა. ვაჰაბიტური მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი მანერებით „დაავადებული“ ახალგაზრდები რადიკალიზმისა და ტერორიზმის გზაზე დადგნენ. ადგილობრივი „მებრძოლი რაზმი“ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასაც აწყობდა – („ნაციონალებს“) პანკისელ ვაჰაბიტთა მებრძოლი რაზმი („ბოევაია დრუჟინა“) ჩრდილოეთ კავკასიაში თავიანთი გავლენის გასამტკიცებლადაც ჭირდებოდათ. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს აქტიურად რეკლამირებული „ჩერქეზული თემა“ ბოლო წლებში ჩრდილში მოქცა, უკვე აღარ მიმდინარეობს აგრესიული საინფორმაციო და პროპაგანდისტული მუშაობა, თემამ სამეცნიერო დისკუსიების სახე შეიძინა, მაგრამ დღეს ისევ შეინიშნება ყურადღების გამახვილება მის მიმართ. განსხვავება ისაა, რომ ადრე ამ თემით პოლიტიკური ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები იყვნენ ღიად დაკავებულნი, ახლა ის შენიღბულია რომელიღაც საზოგადოებრივი ორგანიზაციით. რა თქმა უნდა, ასე უფრო იოლია, რადგან სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს თავისუფლად შეუძლიათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების „სახურავქვეშ“ იმოქმედონ. ვერაფერში შეედავები, მაგრამ მათი მუშაობაც ძირგამომთხრელია. მაგალითად, საქართველოში მოქმედებს „ჩერქეზული ცენტრი“, ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის „ჯეიმსთაუნის ფონდთან“, რომელიც გადართულია ამერიკული ფასეულობების გავრცელებით ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში. ცნობილია „ჯეიმსთაუნის ფონდის“ მიერ ჩატარებული სკანდალური სემინარები და კონფერენციები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ არიან მიმართული.

დაბოლოს: გახშირებული კონფლიქტების და გარეშე ძალების ზემოქმედების შედეგად, ქისტი მოსახლეობის დამოკიდებულება ქართული საზოგადოების მიმართ ნეგატიური გახდა, ქისტი ახალგაზრდების სასულიერო განათლების დაფინანსებით, ხელს უწყობენ რელიგიური და ეთნიკური განსხვავების გაღრმავებას (პანკისის ხეობაში რადიკალური ისლამის მომძლავრება ხელს უშლის მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესს ქართულ საზოგადოებაში ხეობაში ისლამის ზეგავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ. ამის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ პანკისელების მონაწილეობა ამ ომში და დევნილების დიდი ნაკადი, რომელიც ომის შემდეგ საქართველოში შემოვიდა. ამგვარად, დევნილებმა და ჩამოსახლებულმა მუსულმანურმა მოსახლეობამ იქონია ძალიან დიდი გავლენა ადგილობრივ პანკისელებზე და აბსოლუტურად შეცვალა რელიგიური სურათი ხეობაში. ექსპერტების აზრით, ქისტების განწყობა გამოძახილია იმ მოვლენებისა, რაც ხდება ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. პანკისის მოსახლეობა ნეგატიურად არიან განწყობილი რუსეთისა და რამზან კადიროვის მიმართ, რომელიც რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენს ჩეჩნეთში. შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობის ხაზი ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად, ისლამზე გადის. ექსპერტები საუბრობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესზე, როგორიცაა ეგრეთწოდებული მამათა და შვილთა „ომი – რაც ნიშნავს, რომ ოჯახები, ფაქტობრივად, გაყოფილია. წინა თაობა არის ისლამის ტრადიციული გაგების მიმდევარი, ხოლო ახალგაზრდები ახალი ფორმის ანუ სალაფიზმის მიმდევრები და ბევრად უფრო რადიკალურები და მორწმუნეები. ერთ- ერთი ექსპერტის, უხეცეს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის (ხ.გ.) აზრით, სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდაა წასული ისლამურ სახელმწიფოში საომრად. კონკრეტულ რიცხვზე რთულია ლაპარაკი, თუმცა, სავარაუდოდ, მათი რიცხვი რამდენიმე ათეულით განისაზღვრება. პანკისის ხეობაში არსებულ პრობლემებზე მომუშავე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი (ბ.ი.) აღნიშნავს, რომ პანკისელი ახალგაზრდები მოკლებულნი არიან საკუთარიგადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (ემორჩილებიან გვარის გადაწყვეტილებას), არ ჰყოფნით ნებისყოფა და არა აქვთ საკმარისი მხარდაჭერა თემის მხრიდან საკუთარი ინტერესების დასაცავად. ისინი დათრგუნულები არიან, რადგან სოციალურ სივრცეში არ აქვთ ინდივიდუალური ადგილის დაკავების შესაძლებლობა. ექსპერტების თქმით, პანკისის ხეობაში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმებაა. როგორც ერთ-ერთი ეთნიკური ქისტი ექსპერტი აღნიშნავს, ამის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს ხეობაში იმ ადამიანების სიმცირე, ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვს მიღებული. მათი თქმით, პანკისის ხეობის მოსახლეობა დაკავებულია მიწათმოქმედებით, მხოლოდ მცირე ნაწილი (ძირითადად, ქალები) მუშაობენ ხეობაში არსებულ სკოლებში, ბაღებსა და საზოგადოებრივ ცენტრში, რომელიც მხოლოდ 2014 წელს გაიხსნა. ხეობაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები შეიძლება მივიჩნიოთ იმ გადამწყვეტ ფაქტორად, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდების გადინებას არაბულ ქვეყნებში და კრიმინალის მაღალ დონეს, კერძოდ კი, იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდას.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ვინ და რატომ დაანგრია სასწრაფოდ ხორავას ქუჩაზე ის ფარდული, სადაც მოზარდებს შორის შემზარავი ტრაგედია დატრიალდა?

სასამართლო პროცესი ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გარშემო, სულ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო, მაგრამ დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულების, ხორავას ქუჩის იმ კორპუსის ეზოში მდებარე ფარდულის დემონტაჟი მოახდინეს, სადაც ეს სისხლიანი გარჩევა მოხდა. სამართლებრივ სახელმწიფოში სს-ის დანაშაულზე არსებული მტკიცებულებები გამოძიების ბოლომდე ინახება. მაშინ რატომ არ მიიღეს სამართალდამცავებმა ზომები, დანაშაულის ადგილის იმ სახით შესანარჩუნებლად, რაც დანაშაულის მომენტისთვის იყო. დღეს უკვე შეუძლებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, თუკი ამის აუცილებლობას სასამართლო გამოძიების პროსესში გამოკვეთილი გარემოებები მოითხოვსო. ნივთმტკიცება მარტო გამოძიების კი არა, სასამართლო განხილვის ბოლომდეც ინახება, მაგრამ აქ საინტერესო სხვა რამ არის, ვისი ინიციატივით მოხდა ხსენებული ფარდულის დემონტაჟი. ტელევიზიებმა გვამცნეს, რომ ამის ინიციატორები სამამართალდამცავები იყვნენ, თუმცა კორპუსის მცხოვრებთა განცხადებით, მათ გენს. ოფიციალური ვერსიის, რომ მკვლელობის იარაღად მხოლოდ ორი დანაა და მკვლელობაში დამნაშავე მხოლოდ ორი მოზარდია, არც დაღუპული დავით სარალიძის მამას სჯერა, არც ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატს და არც საზოგადოებას. ზაზა სარალიძე თავიდანვე აცხადებდა, რომ მის შვილს მრავლობით ჭრილობებს ვერ მიაყენებდა ბრალდებული გ.ჯ., რასაც ადასტურებს ჭრილობების რაოდენობა და სხეულზე მათი განლაგებაც. იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ ბრალის ფორმულირებაში სრული ტყუილი წერია, გამორიცხულია ერთ კაცს მოეკლა ჩემი შვილიო. სხვათა შორის, თავიდან ისიც ითქვა, რომ რამდენიმე პირს ჰყავდა გაკავებული დავით სარალიძე და ასევე რამდენიმე პირი ურტყამდა მას დანას. აღშფოთებული საზოგადოება ყველა ამ პირის, ისევე, როგორც კონფლიქტის წამომწყებებისა და ორგანიზატორების დასჯას ითხოვდა და ითხოვს. პროკურატურის ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდებულ გ.ჯ-ს დაცვის მხარეც, ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე მიიჩნევს, რომ საქმე არასრულყოფილადაა გამოძიებული, არ არის დადგენილი უამრავი ისეთი დეტალი, რომელიც საზოგადოებას და დაზარალებულ მხარეს აწუხებს. არ არის დადგენილი კონკრეტული პირების სახელები და გვარები, რომლებიც ჩხუბში მონაწილეობდნენ, ვიცით გარკვეული პირები, მაგრამ კონკრეტული პირი კონკრეტულ დროს რას აკეთებდა, ამაზე მოწმეთა ჩვენებები ურთიერთ საწინააღმდეგოა. შესაბამისად, შეუძლებელია მოწმეების ჩვენებებს ვენდოთ. მიგვაჩნია, რომ თავის დროზე გამოძიება არასწორ გზას დაადგა და ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, რომლის გამოსწორებაც შემდეგ უკვე აღარ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ გამოძიებამ დაადგინა უტყუარი ჭეშმარიტებაო.



გამოძიება თურმე არაფერს ამბობს უშუალოდ კონფლიქტის წამომწყებებსა და მათი მსხვერპლების როლზე, უშუალოდ ხორავას ქუჩის ინციდენტში. საქმის მასალებით ჩანს, რომ საპირფარეშოს ეპიზოდის მონაწილეები ხორავას ქუჩის ეზოში იმყოფებოდნენ, თუმცა როგორ რეაგირებენ პროცესზე, რომელიც მათი მიზეზით წარიმართა, ეს გამოძიებას დადგენილი არ აქვს, რას აკეთებდნენ უშუალოდ ჩხუბის დაწყებამდე და რა მოიმოქმედეს ჩხუბის მომენტში, გამოძიება ამაზე შეგნებულად თუ შეუგნებლად დუმსო. საინტერესოა, რაიმე პასუხისმგებლობა თუ დადგა იმ ვინმე დ.ნ-ს მიმართ, რომელიც ჯერ პნევმატური იარაღით აღჭურვილი მივიდა სკოლაში, გაიხმო უმცროსკლასელები და ამ იარაღით დაემუქრა, მერე კი ძალიან აქტიურობდა ხორავას ქუჩაზე და სავარაუდოდ ხელს უშლიდა შერიგების პროცესს. გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ამ ეტაპზე მხოლოდ მკვლელობაში ბრალდებულ ორ მოზარდზე და დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულ სამ უფროსზეა საუბარი. იმიტომაც უჩნდება საზოგადოებას ეჭვი, ხომ არ აფარებს გამოძიება ხელს საქმის რომელიმე ფიგურანტს, მით უმეტეს, რომ ტრაგედიის მსხვერპლები და ბრალდებულები ერთმანეთს პირველად ხედავდნენ და შესაბამისად მათ შორის აგრესია მანმადე ვერ იარსებებდა. საინტერესოა, რატომ არ ამხელდა გამოძიება ამ ინციდენტის დროს სხვა ორი მოზარდიც რომ დაიჭრა. პროკურატურამ ეს ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ დაადასტურა, როცა მედიასაშუალებებმა გაახმაურეს. ერთ-ერთი დაჭრილი №1 ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე ყოფილა, ერთ-ერთი მათგანია ვისაც მ.კ-მ დეიდაშვილის დასახმარებლად გაყოლა სთხოვა. ასე, რომ დაპირისპირება გაცილებით მეტ ადამიანს შორის არის მომხდარი, ვიდრე სს-ის საქმის მასალებშია საუბარი. წინასწარ გამოძიებაში დუმილის უფლება გამოიყენეს ორივე ბრალდებულმა, დადუნაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა გ.ბ-მ და სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულმა გ.ჯ-მ, ორივე მათგანი სასამართლოზე გეგმავს ჩვენების მიცემას. როგორც ირკვევა, ჯერჯერობით არ არსებობს საქმეზე დანიშნული მთელი რიგი ექსპერტიზის დასკვნები, მათ შორის იმ კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნები, რომელიც ბრალდებული გ.ჯ-ს დაცვის მხარემ დანიშნა. არ არის გამორიცხული, რომ ხსენებულმა დასკვნებმა პროკურატურის ვერსია, არსებითად შეიცვალოს. პრესით ვრცელდება ინფორმაცია, რომ 51-ე სკოლაში ადრეც მრავლად იყო, მოსწავლეებს შორის ე.წ. ჩაგვრის და სასკოლო კონფლიქტების ფაქტები, მაგრამ მაინც და მაინც არ გახმაურებულა. 1 დეკემბერს ისეთი ტრაგედია მოხდა, რომ ამას ვეღარ დამალავდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მთაწმინდის პოლიციას ორჯერ საქმეში უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურის ჩართვა მოუწია, როცა საქმე ამ სკოლაში არსებულ პრობლემებს შეეხებოდაო.

ბევრს გაუჩნდა კითხვა, რატომ დახურეს ორი მოზარდის მკვლელობის საქმის განხილვა, ეს საქმე ხომ არც სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებას ეხება და არც რაიმე ინტიმურ დეტალებს. უფლებადამცველ გიორგი თევზაძის განცხადებით, ამ შემთხვევაში არასრულწლოვნები ფიგურირებენ, რაც ძალიან მგრძნობიარე თემაა და თუკი რომელიმე მხარე პროცესის დახურვას მოითხოვდა, მოსამართლე ვალდებულიც კი იყო, რომ ეს შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა. პოლიციეს ვიცე-პოლკოვნიკის დავით გაგნიძის აზრით, ამ საქმეში გავლენიანი მამიკოების შვილები ფიგურირებენ და პროცესის დახურვა უფრო ამას ემსახურება, ეტყობა რაღაც გარიგება მიდის და არ უნდათ ეს საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილიო.

დავით გაგნიძე: დიდი ხანია ჩამოყალიბდა „ელიტარული“ კასტა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ კანონზე მაღლა დგანან. ყველაზე მეტი გარჩევები თუ სხვა სახის კონფლიქტები ზუსტად ე.წ. პრესტიჟულ სკოლებში ხდება, კომუნისტების მმართველობისას კიდევ არ ჰქონდა ასეთი მასშტაბური სახე, მაშინდელ ჩინოსნებს კიდევ რაღაცის ერიდებოდათ და ეშინოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, არ მომერიდება იმის თქმა, რომ სრული განუკითხაობაა. ადრეც გითხარით, რომ ქვეყანაში სულიერი კრიზისია, აქედან გამომდინარეა ყველა უბედურება. ხომ ხედავთ, როგორ დაირაზმნენ ეს ე.წ. ელიტარები ვიღაც „ბახალას“ დასაცავად, რომელსაც თურმე პოლიციამ „ჩაუდო“ ათეულობით აბი სუბოტექსი. რაც შეეხება მოზარდები მკვლელობას და ნივთმტკიცებების სავარაუდო განადგურებას, ხსენებული ფარდული შეიძლება არც იყოს ასე ვთქვათ, მტკიცებულება, მაგრამ ასე სასწრაფოდ რომ მოხდა მისი დემონტაჟი, უკვე ეჭვს იწვევს, ეტყობა იქ რაღაც ისეთი იყო. რომ ამბობენ მკვლელობის დროს ორი დანა ფიგურირებდაო, ამოიღეს ორივე? თუ ამოიღეს, საიდან მოხდა ამოღება? თავიდან ხომ ითქვა, რამდენიმე დანით ჰქონდათ იმ ბავშვებს ჭრილობები მიყენებულიო, აგერ კიდევ ორი დაჭრილი გამოჩნდა, ვინ დაჭრა ესენი, ამოღებულია ის დანები? გამორიცხავთ, რომ სხვა დანები ზუსტად მაგ ფარდულში შეყარეს, ბავშვები არიან, დაარტყეს ვიღაცას, შეეშინდათ და იქვე მიყარეს. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ მოზარდების მშობლებსა და ფარდულის მეპატრონეებს შორის

მოხდა შეთანხმება, ფარდულის დაშლის შემდეგ უფრო ადვილად იპოვნიდნენ დანებს, სამართალდამცავებმაც უბრალოდ ფეხი ითრიეს და ამათ საშუალება მიეცათ ნივთმტკიცებები გაექროთ. სხვა შემთხვევაში ასე სასწრაფოდ რატომ უნდა დაენგრიათ ის ფარდული? გავლენიანი მამის შვილებს აღარაფრის ეშინიათ, დარწმუნებულები არიან დანაშაული ჩაიფარცხება და ყველაფერი შერჩებათ. ეს საშინელი ტრაგედიაც აქეთ მიდის, ახლა ვინც დაუსჯელი დარჩება, გგონიათ, აღარ ჩაიდენენ დანაშაულს? მერწმუნეთ, აუცილებლად ჩაიდენენ, მამიკოები კი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ციხიდან დაიხსნან და დიდ თანამდებობებზეც წამოასკუპონ. წელან მკითხეთ, წამქეზებლები და ხელის შემწყობები არ უნდა დაისაჯონო, როგორ დასჯი, როცა არასრულწლოვნების მიმართ ფაქტობრივად არ გაგვაჩნია კანონმდებლობა. უკვე მერამდენე დანაშაული ხდება თუნდაც არასრულწლოვნების ხელით, სადაც დანა ფიგურირებს, იტყვით რატომ არაფერს აკეთებენ სამართალდამცავები, ასეთი დანაშაული რომ არ მოხდესო. პროფილაქტიკისთვის ხომ უნდა გაჩხრიკონ, აბა რომელიმე გაჩხრიკოს პოლიციამ, ეს ე.წ. უფლებადამცველები ქვეყანას დააქცევენ ადამიანის უფლებები, მით უმეტეს არასრულწლოვნების უფლებები ილახებაო. კაპიტანი გიგაური სისტემატურად რომ გვმოძღვრავს ტელეეკრანიდან, ახლა რატომ არის გაჩუმებულ, ეს არ არის „პრიორიტეტული“ მისთვის და მისნაირებისთვის? ნარკომომხმარებლების და ნარკობარიგების დასაცავად ათასობით გამოდიან, მხეცურად შვილმოკლულ დედას ირინა ენუქიძეს, ათი კაცი თუ მიყვებოდა, ყოველ შემთხვევაში ეკა გიგაური და ეს დანარჩენი „ცნობადები“ მე იქ არ მინახავს. თქვენ გგონიათ ამათ ნარკომომხარებლებზე შესტკივათ გული, არა, უბრალოდ სახელმწიფოს ებრძვიან. იმიტომ ვეძახი „ენჯეოშნიკების“ გაპიარებულ ნაწილს უცხო ქვეყნის აგენტურას, რომ ფულის გულისთვის ყველაფერს კადრულობენ, გრანტის მისაღებად სამშობლოს გაყიდიან. სამართალდამცავ და უსაფრთხოების სტრუქტურებს იმიტომ ებრძვიან ასე თავგამოდებით, რომ სახელმწიფო ამ სტრუქტურებზე დგას. სახელს გაუტეხავ, დაასუსტებ ამ სტრუქტურებს და სახელმწიფოს საქმეც დამთავრებულია. ამ ე.წ. უფლებადამცველების და ე.წ. რეფორმატორების „დამსახურებაა“ შსს-ში არასრულწლოვანთა ინსპექციის გაუქმება, რომელიც მეტნაკლებად აგვარებდა პრობლემას, რასაც არასრულწლოვანთა დანაშაული ჰქვია. ამ „რეფორმატორებმა“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ვითომ გამოსავალი მონახეს, შექმნეს მანდატურის სამსახური, რომლის რეალური ფუნქციაც პედაგოგების თვალთავალი იყო. ფაქტი სახეზეა, რომ ამ სამსახურმა არ გაამართლა, ის სკოლის შენობაშიც კი ვერ ახდენს სათანადო კონტროლს და სკოლის გარეთ რა უნდა გააკეთოს, როცა ეს არც ევალება.

მანანა სუხიშვილი
59 95 12 824

რატომ არის კარგი „გრუპავოი“ სექსი?

ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუარეთ, ჩემს მარადიულ ქალწულ მამიდას კი თავი დაანებეთ!

„ქალს თუ ცუდად მოექცევი – ცუდი ქალის გვერდით იცხოვრებ. თუ დედოფალივით მოექცევი – ყოველ დილით დედოფლის გვერდით გაიღვიძებ.“

ბაბუაჩემი

ახლა იტყვიან, ქალებს იცავსო, არადა, სულ ტყუილად, კაცებს გიცავთ, ბატონებო, კაცებს – დაიკო რომ არ გაგიბახდეთ, დედამ რომ არ მიგიტოვოთ ოჯახი, შვილი რომ არ შეგირცხვინოთ და ჯიშის და ჯილაგის, გვარის და ტრადიციების გამგრძელებლის ამქვეყნად მოსავლენად კოლბების ლაბორატორია რომ არ დაგჭირდეთ.

ბოლო დროს ქილიკი ისწავლა საზოგადოების ნაწილმა, ტრადიციების ქილიკი, ქალიშვილობის ინსტიტუტის ქილიკი, ქალწულობის ქილიკი, თავდაფასებული ქალების ქილიკი, თავის დაფასების ქილიკი, არ ბოზობის ქილიკი, საყვარლის არ ყოლის ქილიკი.

ყველას აქვს საკუთარი აზრის ქონის უფლება და ვიღაცას თუ არ უნდა ქალწული შვილი სახლში, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ უცნაურობა სხვა რამეშია – ერთ დღეს ქალწულს აკრიტიკებენ, მეორე დღეს ნაშას, ერთ დღეს ძველმოდურობაზე საუბრობენ, მეორე დღეს ევროპულობის ცუდ მხარეებზე, ერთ დღეს თავდაფასებული ქალები არ მოსწონთ, მეორე დღეს თავდაუფასებელნი.

წერს შობა დღეს ერთი: მარადიული ქალიშვილები რითი განსხვავდებიან იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც შაურმა არ გაუსინჯავთო.

რათა, შვილო, რათა, ქალწულზე გაგახსენდა შაურმა, შაურმაზე ქალწული თუ სიტყვა მარადიულობამ აგრია?

მარადიული ქალწულისგან ნაშობ ქრისტეს შობას რომ ვზეიმობთ, რაღა მაშინ და მაგ დროს გახსენდება შაურმაუჭმელი ხალხი?

წერს მეორე დღეს სხვა, ჩემი მეზობლი ბიჭის შეყვარებულ გოგოს, ამ ბიჭამდე სამი ჰყავს გამოცვლილი, ამ ბიჭმა იცის, მაგრამ იმითია ბედნიერი, რომ ამ გოგოს ეს უყვარს და ის სამი არ უყვარდაო. ახლა, მე როგორც წესიერ მოქალაქეს, მინდა გავაგებინო, რომ ასეთი ქალი ოჯახში შემოსაშვები არაა, მაგრამ ისე უნდა გავაგებინო, რომ არ შევძულდეო.

ხოდა, ამ ერთსაც და მეორესაც სულ ერთი და იგივე ადამიანებმა დაულაიქეს, მოუწონეს, გაუცინეს, დაუგულეს (ასე ჰქვია გულს რომ დაუწერ პოსტს, თურმე) – ორივე რანაირად მოგწონთ, თქვე კარგო ხალხნო, ორივეზე როგორ გეცინებათ, განა ყველა ომი სხვისია?

გამოვესარჩლე მარადიულ ქალწულებს – მეც მყავს ეგეთი, ჩვენც გვყავს ეგეთი – მამიდა, დეიდა, ნათესავი – ჩვენზე გადაყოლილები იყვნენ მთელი ცხოვრება და გვიყვარსო... აბა, ჩემმა მარადიულმა ქალწულმა მამიდამ გიყოთ? ჩემი ქალწული ნათესავები გიშლით, ბატონო. ნერვებს?

გაიბერავს გოგო ტუჩს – ფუ, ტფუ – რას გავსო იტყვიან... დადის ერთი ტუჩგამოუბზკიბელი გოგო 10 ტუჩგაბერილთან ერთად ქუჩაში – არავინ ყურადღებას არ აქცევს, ყველა კაცი იმ ტუჩგაბერილს და მკერდგაბერილს შეჩერებია...

არ დაიფასებს თავს და გაყვება პირველივე შემხვედრს და რასაც დაუძახებენ ყველამ ვიცით – არ გაყვება და დაიდება ფეისბუქზე სტატუსი: – რა გონიათ თავი, ისე გეტყვიან უარს, გეგონება პრინცმა უნდა მოაკითხოს, ნეტა, ხომ არ ეგონა, რომ მართლა რაიმეში მჭირდება. ამ ძალადთავდაფასებულ ქალებს ჰგონიათ არ ვიცით, ვინები არიან და რას აკეთებენ?

რა იცით, რა იცით?

შვილები, დედები, ცოლები პლეხანოვზე თურქების ბარებში თურქი ბიძიების მუხლებზე სხედან ლუკმა-პურის სახლამდე მოსატანად და თქვენ გეღადავებათ? იმ დარჩენილ პატიოსნებაზე გეღადავებათ?

დამარიგა ერთმა 50 წელს გადაცილებულმა ცნობილმა ქალმა, საყვარლობაზე უარი კი არ უნდა თქვა, ჯერ უნდა დათანხმდე და თავი მერე შეაყვარო და შეაჩვიო, ყველა ასე აკეთებსო.

ვინ ყველა, აკი, ყველა თავს იფასებსო?

და მაინც, ყველა ასეთ ენაგრძელ და ცუდი იუმორის მქონე, ჭორიკანა და ბილწი აზრებით თავგამოტენილ კაცს სახლში აუცილებლად ჰყავს ქალწული ქალიშვილი, თავდაფასებული ცოლი, პატიოსანი დედა და მარადიული ქალწული დეიდა ან მამიდა... ჰყავს და მოწონს – ეს ჩემი

უსაყვარლობა აგდებს საგონებელში, ეს ჩემი მარადიული ქალწული მამიდა ჰყავს მიზანში ამოღებული.

რომ ვიფიქრე ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს-თქო, ჟურნალ „თბილისელებში“ მსახიობ ალეკო ბეგაშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა, იყო იქ სტანდარტული ნიუქართველური ტექსტი როგორ გაატარა ახალი წელი ამერიკაში ერთხელ (ოსმალეთი აღარაა მოდაში), როგორ იმაიმუნა, დაყნოსა, მოწია, როგორ „გაიტასავა“ ბროდვეიზე, როგორ გადაიღო ბეტმენთან ფოტო, როგორ წაიყვანა კახეთში მეგობარი გოგო სტუმრად და მოხვდა ტრადიციულ ოჯახში, სადაც ეს და ის მეგობარი გოგო ერთ ლოგინში კი დავწნენ, მაგრამ არაფერი, ხაზგასმით არაფერი ყოფილა ძილის გარდა, მაგრამ მაინც შეიცხადა მასპინძელმა ამ გოგოსთან ერთ ლოგინში დაწოლის ამბავი. მერე განავრცო და გაგვანათლა, რომ ადრე იმიტომ იყვნენ ქართველი გოგოები ულვაშებით, რომ სექსი არ ქონდათ თავის დროზე და ბოქლომებით დადიოდნენ.

ჯერ ერთი, სექსის დრო როდის მოდის, ეგაც რომ გვითხრათ, ბარემ, არ იქნებოდა ურიგო, მეორეც, რაღა ყველა ულვაშიანი ქალი თქვენ გხვდებოდათ, მესამეც, თქვენც იმ თაობის არ ხართ, ქე რო ბოქლომებით დადიოდნენ? ხოდა, სად პოულობთ ამ წიწკვ გოგონებს ამ ასაკში – არც ეგ დაგვიმალოთ.

ქართველებს „სწენკის“ მომენტი აქვთ სულ და უნდა ელოლიავო და კოშკები აუგო, რუსები კი ალალები არიანო. „სწენკა“ არ მოგწონს? იყოს კედლის ბარი, ან „დესაუ“, ან სავარძელი სუპერთანამედროვე, ან გასაშლელი კარავი, რა ვიცი.

მაგრამ, მთავარი მაინც სხვა რამეა, ახლა ბასიანზე ოთახი გაიხსნა, ბნელი ოთახი, სადაც შედიხარ და სექსი გაქვს – კაცი, ქალი, სულ ერთია და რომ გამოდიხარ არც იცი, ვისთან გქონდა სექსიო.

ნუ, ახლა, ბასიანის ბნელი ოთახიდან გამოსულს პარტნიორის პირადი ნომერი რომ არ გეცოდინება გავიგეთ, მაგრამ კაცთან გაქვს სექსი თუ ქალთან მაგას მაინც რომ მიხვდეთ, ვერა?

რანაირად ახლა, უყავი თუ გიყო, რანაირადაა ეგ ამბავი ერთნაირი, ნუ გამაგიჟეთ...

ფრაზა: აქედან ყველანი მივდივართ ბასიანზე – გადავხაზე.

ბასიანზე ნამყოფ ადამიანს აწი სულ ეჭვის თვალით შევხედავ, არა, განა სექსის გამო, ყველას თავისი პირადი ცხოვრება აქვს და პრეზიდენტზე მისვლამდე ყველა ყველას ეჯიბრება მდიდრული გამოცდილებით, მაგრამ ასეთი „პროწივ პრადვინუწი“ როგორ უნდა იყო, რომ კაცთან და ქალთან სექსი ვერ გაარჩიო.

გურულმა თქვა: დედა, რა კაია აგი “გრუპავოი სექსი”, ისე გამევიპარე, კაციშვილმა ვერ გეიგოო.

რაც ეს ინტერვიუ წავიკითხე, მას მერე არ მასვენებს ფიქრი: საიდან იცის ახლა ამ კაცმა ამდენი ამ ბასიანზე, ნამყოფია ნეტაი? ვერც ამან გაარჩია ნეტაი კაცი და ქალი? ასე ძნელია ნეტაი კაცის და ქალის გარჩევა? და მერე მივხვდი – არა, მაგას მასე სექსი რავა ექნებოდა – ეგ უეჭველი დახვრიტეს.

იმ ანეგდოტის არ იყოს: – ბაბუ, ტყვედ ჩავვარდით და გერმანელებმა გამოგვიცხადეს, ან უნდა გაგაუპატიუროთ და ან უნდა დაგხვრიტოთო.

– მერე, ბაბუ, შენ რა გიქნეს?

– მე დამხვრიტეს, მაგათი დედა ვატირე!

თამო კეშელავა
555 46 08 04

სპილო ჭურჭლის მაღაზიაში: რა უნდოდა ტრამპს დავოსში?

ამერიკის პრეზიდენტი შვეიცარიაში პირველი ლედის გარეშე გაემგზავრა



მელორ სტურუა:

წელს დავოსში მონუმენტური თოვლი მოვიდა. ეს შვეიცარიული კურორტი თოვლში ჩაეფლო. ოხუნჯების მტკიცებით, თვითონ ბუნებამ, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დავოსში არ ჩამოეშვაო.

თავისი მილიარდების მიუხედავად, ტრამპი დავოსში ელიტურ პარიად მიაჩნდათ. ფანჯარას მიყრდნობილი, თითქოს გარედან აკვირდებოდა, თუ რა ხდებოდა ამ წმინდათაწმინდა ადგილას, რომელსაც ერთდროულად ესწრაფოდა და რომელიც არად აგდებდა მას.

დონალდ ტრამპი დავოსში გაემგზავრა კაპიტალიზმის სატურნალიაზე, ფულისა და ძალაუფლების რანდევუზე. მოძულებულ-მოკვეთილი თითქოს შურისძიებით იყო აღვსილი დავოსის ექსკლუზიური კლუბისადმი, რომელმაც ვერა და ვერ მიიწვია იგი თავის თავყრილობაზე მაშინ, როცა ის „უბრალოდ“ მილიარდერი ბიზნესმენი იყო. ამჯერად ტრამპმა, როგორც „თავისუფალი სამყაროს“ ლიდერმა და კვლავაც მოკვეთილმა, თუმცა არა საბოლოოდ უგულებელყოფილმა პერსონამ, გაარღვია ბუნების ეს საოცარი სტიქია და მისდამი აბუჩი დამოკიდებულება.

„ერთი მხრივ, ფორუმი არად აგდებს მას, მაგრამ, მეორე მხრივ, კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია, დანარჩენი კი – არა. თვალს მივადევნებთ მის ტვიტერგანცხადებებს, რომლებიც უპირატესობის შეგრძნებასა და არასრულფასოვნების კომპლექსს შორის ერთგვარ ბალანსს ქმნის“, – ასეთია ტრამპის ბიოგრაფის, მაიკლ დანტონიოს კომენტარი დავოსში ტრამპის გამოჩენასთან დაკავშირებით.

ამერიკელი პრეზიდენტები, ჩვეულებისამებრ, გაურბიან დავოსს. გამონაკლისია კლინტონი, რომელიც ამ ოჯახურ კერას 2000 წელს ესტუმრა, ახლა კი – დონალდ ტრამპი, მილიარდერი-პოპულისტი, როგორც თავად უწოდებს საკუთარ თავს. სად უნდა ვეძებოთ მისი გამოწვევის ინტრიგა დავოსის Jet Set-ის – შეძლებული ხალხის ამ საერთაშორისო ჯგუფის მიმართ, რომელმაც შექმნა იზოლირებულთა საზოგადოება, სადაც გარეშე პირები პრაქტიკულად ვერ მოხვდებიან? ჯერ ერთი, ის შეიჭრა საღამოს წვეულებაზე, რომელსაც ეს არანაირად არ სურდა. და მეორეც – მან ეს ჩაიდინა ლოზუნგით America First (ამერიკა უპირველეს ყოვლისა) და ამით დავოსის გლობალიზაციის საფუძვლის ძირის გამოთხრა სცადა.

ტრამპმა წინასწარვე იგრძნო, თუ როგორ იძაბებოდა სიტუაცია. ვიდრე გაემგზავრებოდა, მზის პანელებსა და სარეცხ მანქანებზე ფასები „დააბრეხა“. როცა შესაბამის ბრძანებულებას აწერდა ხელს, ტრამპმა განაცხადა: „დავოსში მივფრინავ. იქ ვილაპარაკებ შეერთებულ შტატებში ინვესტიციების დაბანდებაზე. მოვიდნენ და ხარჯონ აქ თავიანთი ფულები“.

დავოსის საქმიანი საფიხვნოს გახსნისას ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი გლობალიზაციას დაუდგა ქომაგად. იმავე დღეს კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ განაცხადა, რომ დამთავრდა მოლაპარაკებები წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისა და იმ სავაჭრო პაქტის შეთანხმების შესახებ, რომლის სახელწოდებაა „აშშ-ს მონაწილეობის გარეშე“.

ტრამპმა პატივი არ დასდო დავოსს და იქ დიდხანს არ გაჩერებულა. დარჩა მხოლოდ ერთი დღე, შეხვდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის, ვისთანაც არცთუ მარტივი ურთიერთობა აქვს (მან ინტერნეტით გამოაქვეყნა ანტიმუსლიმანური ვიდეო, რომელსაც ბრიტანელი უკიდურესი მემარჯვენეები ავრცელებენ). ტრამპის დღის წესრიგის შედარებით სასიამოვნო ნაწილად იქცა შეხვედრა ისრაელის პრემიერ ბინიამინ ნეთანიაჰუსთან და მის პატივსაცემად გამართული მიღება, რომლის ინიციატორები მსოფლიო ლიდერები იყვნენ.

დავოსში პრეზიდენტ ტრამპთან ერთად გაემგზავრა მისი კაბინეტის შვიდი მინისტრი, მათ შორის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი და ფინანსთა მინისტრი სტივენ მნუჩინი. პირველი ლედი დავოსში არ წასულა. მავანთა დაკვირვებით, ვულფის წიგნის გამოსვლის შემდეგ მელანია, როგორც ამბობენ ხოლმე ასეთ დროს, გარეთ ცხვირს აღარ ყოფს. ამტკიცებენ, რომ თეთრ სახლში ცხოვრება მას დიდად არ სიამოვნებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი ქმრის გამარჯვების დღეს ცრემლად იღვრებოდა. ცეცხლზე ნავთი დაასხა „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციამაც, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ტრამპმა თავისი იურისტების მეშვეობით „თავი გამოისყიდა“, როცა ვიღაც პორნოვარსკვლავს 130 000 დოლარი გადაუხადა. პირველი ლედის სპიკერი სტეფანი გრიშემი დავოსში პირველი ლედის არყოფნას „გრაფიკის ლოგიკური შეუთანხმებლობით“ ხსნის.

დავოსის შემდეგ ტრამპმა გამოაცხადა იმის შესახებ, რომ დაამარცხა მსოფლიო ბიზნესის „მსუქან-მსუქანი კატები“ და იმავდროულად მათთან ალიანსსაც მიაღწია (გააჩნია რომელ ტვიტერს წაიკითხავთ). აი რას წერს „ახალი ამერიკის“, ვაშინგტონის კვლევითი ორგანიზაციის პრეზიდენტი და ობამას სახელმწიფო დეპარტამენტში დაგეგმვის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი მარი სლაუტერი: „ტრამპი ქამელეონივით არის. ფორუმზე ცდილობდა დაეკმაყოფილებინა დავოსში მყოფი მასა. სხვა საქმეა ტვიტერი“.

„დავოსელი „ერთპროცენტიანები“ – მსოფლიო სახელისუფლებო ელიტის 1 პროცენტი – განსაკუთრებით კი ამერიკელები, ტრამპს უნდა უმადლოდნენ, რომ მან მნიშვნელოვანწილად შეამცირა გადასახადები კორპორაციებისთვის და კონგრესს მიაღებინა შესაბამისი კანონი. თუმცა ეს „ერთპროცენტიანები“ კულუარებში ტრამპს უწოდებენ „გლობალურ ველურ რუკას“, რომელიც იმიგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის გზაზე როგორც რეალური, ისე გამოგონილი კედლების შექმნის იდეით არის შეპყრობილი.

დავოსში შეკრებილი პოლიტიკური და კორპორაციული კლიენტები საკმაოდ რთული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: აჰყვნენ ტრამპს და გამოიყენონ მისი „კარგი მხარე“, თუ ბრაწი უჩვენონ და თავს დაატეხონ მისი ხელმძღვანელობის კრიტიკა. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსის“ მიმომხილველი პიტერ ბეიკერი წერს, „ბოლოს და ბოლოს, ტრამპი არის პრეზიდენტი, რომელიც იმ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ, რომელსაც დავოსი წარმოადგენს, იყენებს wrecking ball-ს (სფერულ ტარანს). თავისი პრეზიდენტობის პირველ წელს მან ამერიკის შეერთებულ შტატებს დაატოვებინა აზიის ქვეყნებთან დადებული წყნარი ოკეანის საერთაშორისო შეთანხმება, იმუქრება, რომ მექსიკასა და კანადასთან, აგრეთვე კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებსაც გამოეთიშება, თუკი ისინი არ გადახედავენ ამ პაქტებს მისი ნების შესაბამისად, ჩინეთთან სავაჭრო ომს გააჩაღებს და გაემიჯნება პარიზულ გარემოსდაცვითი შეთანხმებას, რომელსაც ხელს აწერს ყველა ქვეყანა ამერიკის გარდა“.

დავოსის ფორუმამდე ცოტა ხნით ადრე ტრამპმა მოახერხა და შეურაცხყო ბევრი აფრიკული სახელმწიფო, როცა მათი მისამართით საკმაოდ ვულგარული სიტყვები გამოიყენა. დავოსში კი წარმოდგენილია ათი აფრიკული სახელმწიფო. ამ საერთაშორისო კონფუსის შესარბილებლად გაიმართა შეხვედრა აფრიკის საბჭოს თავმჯდომარესა და რუანდის პრეზიდენტ პოლ კაგამთან.

ტრამპის მიმართ დავოსის კლუბის სტრატეგიის შესახებ საუბრისას, უსაფრთხოების საერთაშორისო ფორუმის პრეზიდენტი პიტერ ვან პრაააგი ამტკიცებს: „დავოსის ელიტას სურდა პრეზიდენტ-პოპულისტისგან, რომელიც მართალია მილიარდერი ბიზნესმენია, მაგრამ ელიტაზე უკეთ ესმის უბრალო ხალხის მოთხოვნები, მოესმინა, თუ როგორ დააკმაყოფილოს ისინი. იმედი მქონდა, რომ ტრამპი დავოსში ბიზნესელიტას ჩამოუტანდა გზავნილებს იმ გამოცდილების შესახებ, რომლებიც მან პრეზიდენტობის კანდიდატობისას და პრეზიდენტობის პირველ წელს შეიძინა. დავოსში თეორიულად ესმით, რა როგორ არის, მაგრამ ამის მოსმენა პირადად ტრამპისგან სურდათ“.

ჭურჭლის მაღაზიაში სპილოს, ანუ დავოსში ტრამპის ჩასვლის კოლიზია ასეთია: მან ვერ მოახერხა და საამისო უფლება არც ჰქონდა, „ერთპროცენტიანთა“ ამ აღლუმზე ელაპარაკა „დანარჩენი“ 99 პროცენტის სახელით. ტრამპის ბიოგრაფის, დანტონიოს მოსაზრებით, „დავოსის ელიტა და მედია ტრამპს უხეშ ადამიანად მიიჩნევენ. მათ შეუძლიათ მიაღწიონ ტრამპის კეთილგანწყობას, ოღონდ პრივატულად, ხანდახან იქნებ საჯაროდაც, მაგრამ ეს არ სურთ, მას ზურგს აქცევენ. ტრამპმა ეს იცის ისევე, როგორც თავის დროზე იცოდა, რომ ამავე მოსაზრებებით და ამგვარადვე უარყო იგი ნიუ-იორკის სოციალურმა ელტამ“.

ჭურჭლის მაღაზიაში სპილოს ადგილი არ არის, მაგრამ მის გარეშე ხომ მაინც ვერ იარსებებს.

„სუხიშვილების ილიკო ხარ თუ ვინც ხარ, სახე გაქვს გასაფხრეწი იმის გამო, რაც იკადრე!“

ცეკვა „ქართული“ კედებით

ილიკო სუხიშვილმა ახლახან კლუბ „რესპუბლიკაში“ ახალი „ქართული ცეკვა“ წარმოადგინა.

როგორც წესი, ამ ამბავზე საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ზოგი სუხიშვილს გენიოსს უწოდებდა და ზოგი თათხავდა. ცოტა ხნის წინ სუხიშვილის და, ქალბატონი ნინო გამოვიდა და მოწყალე ღიმილით განგვიცხადა: ეს არის ექსპერიმენტი, რომლისაც არ უნდა შეგვეშინდესო.

არ გვეშინია, ბატონო!

ჩვენ, კაცმა რომ თქვას, უკვე აღარაფრის აღარ გვეშინია. იმდენი რამე გამოვცადეთ, პოლიტიკოსების ღალატიდან, ძმათა სისხლისღვრიდან, მშობლიური მიწების დაკარგვიდან დაწყებული, ლიტერატურის გაბახებითა და ენის წაბილწვით დამთავრებული, ახლა დახვეწილ ქართულ ეროვნულ ცეკვას ვინმე სტრიპტიზად თუ გადააქცევს, ესეც აღარ გაგვიკვირდება.

ქორეოგრაფები ხმას არ იღებენ, როგორც ჩანს, მათთვისაც სულ ერთია ნაციონალური ცეკვა ბერიკების ჯლიგინს თუ დაემსგავსება. მერე რა, აქ ხომ ყველაფერი გაყიდული და გამაიმუნებულია და ბარემ ესეც იყოს, რა დაშავდება ამითო?!

ცნობილი ქორეოგრაფი, ბატონი გელოდი ფოცხიშვილი, ამ ცეკვას ასეთ განმარტებას უკეთებს: „ეს არის იმპროვიზირებული ქართული ჩანახატი.

ილიკო სუხიშვილმა ქართული ელემენტები გადააკეთა თანამედროვედ. აქ არ ყოფილა, ცხადია, ფოლკლორი...

რაც შეეხება კლუბს, მას აქვს თავისი პრინციპები. კლუბში ახალგაზრდობა დადის, ფინანსური დაინტერესებაა. კლუბში კარგი ანაზღაურებაა. რომ გაიგებენ, სუხიშვილები ცეკვავენ ამ კლუბშიო, ხალხი მოვა, დალევენ შამპანურს და კლუბს ფინანსურად შეეწევა ეს...

სუხიშვილები ამ ცეკვით თანამედროვე ქართულ ცეკვას ამკვიდრებენ“.

თვით ილიკო სუხიშვილი კი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ მისი ნამოღვაწარი და ბრძანებს: „არ მინდოდა კონკრეტული ხალხის, კუთხის ან თუნდაც ისტორიის, ციხესიმაგრის გადარჩენის ისტორიის მოყოლა. [მინდოდა] უფრო ხასიათის და განწყობის გადმოტანა. როგორ ფიქრობთ, დღეს ახალგაზრდა ქართველი გოგო და ბიჭი ქართულს შინაგანად როგორ ცეკვავენ?

...თუ ქართველი ახალგაზრდა ქართულ ელექტრონულ მუსიკაზე მოძრაობს, როგორც თვითონ, იდენტურად და არა სხვა ვინმე, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ქართული არ არის. არ არის აუცილებელი, ჩოხა ჩაცვა და დიმპიტაური დაუკრას. ჩემთვის ეს პროექტი იმდენად ცოცხალია, რომ მინდა განვითარდეს და არასდროს გამოვტოვებ შანსს, რომ წარმოვადგინოთ სხვადასხვა სახით“,

ასე ცეკვავენ დღეს თანამედროვე ქართველებიო, აბა, სულ ძველ ცეკვებს ხომ არ იცეკვებდნენო, გაახლება და გაჯანსაღება სჭირდება ყველაფერსო, — ბრძანებს ბატონი ილიკო.

ყველაფერს განახლება რომ სჭირდება, ჩვენც ვიცით, მაგრამ თუ ახალია, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი და ვუწოდოთ ახალ ნამუშევარს, მაგალითად, „ახალი ქართული ცეკვა“.

თანამედროვე ცეკვა „ქართულის“ შემსრულებლები, უმშვენიერესი მოცეკვავე გოგონები კედებით, კლუბის სცენაზე მკვეთრი მოძრაობებით თავისუფლებას, ლიდერობის სურვილს, საკუთარი მე-ს წარმოჩენის დაუძლეველ წადილს და საკუთარი სხეულის ნაწილების გამომზეურების დემონსტრირებას იმდენად თამამად ახდენენ, რომ მე რომ მამაკაცი ვიყო, ცოტათი შემეშინდებოდა კიდევაც ასეთი ჰეგემონიზირებული მშვენიერი ქალის, რომელსაც, არავინ იცის, საერთოდ, რა დააურვებს...

გარკვეული ხნის შემდეგ სცენაზე ჩნდება კოსტუმ-შარვალში გამოწყობილი მამაკაცი, რომელსაც თეთრი პერანგი თითქოს ნაუცბათევად ჩაუცვამს, ისე, რომ შარვალში ჩატანებაც ვერ მოუსწრია, პერანგის ღილები თითქმის გახსნილი აქვს, გულმკერდი მოუჩანს და რაღაცნაირად თავბრუდახვეული, თითქოს მოუვლელი, პეწდაკარგული, დაბნეული, სცენის ცენტრში ცეცხლივით მოგიზგიზე ქალს მორცხვად უახლოვდება და ბოლოს იმდენს ახერხებს, რომ მის ზურგს უკან უმწეოდ ფართიფურთობს უვარგის მამლაყინწასავით, ვითომ, ეტმასნებასავით ქალს, ვერც ამას ახერხებს კარგად და ბოლოს, როცა ქალი სცენის სულ სხვა ნაწილში „გაშლის ფრთებს“, თვითონ გამოდის სცენის ცენტრში და თავგანწირულად იქნევს ხელებსა და ფეხებს...

ამ ცეკვაზე აგეტირება ადამიანს, რადგან თუ ეს არის თანამედროვე ქართული ცეკვა, ჩვენს ყოფაში დღეს არსებული არასახარბიელო მდგომარეობა ერის ძირითად მენტალობაში გადასულა და ეგ არის.

ერთმა კრიტიკოსმა და ჟურნალისტმა ამასწინათ ტელევიზიით განაცხადა: ჭაობშია ქვეყანა, რადგან ამ უმშვენიერეს დადგმას ვერ აღიქვამსო. ჭაობი, ჭაობიო, ხშირად ახსენებდა ამ სიტყვას. მართლია ის კრიტიკოსი. ქართული გენია „როკვით განფენილი“ იმდენად წყალმარჩხია, მისი დაგუბება ნამდვილად ჭაობად ქცევას ნიშნავს. ამიტომ ეძებს ეს „გენია“ გამოსავალს, კალაპოტს, მაგრამ რა მაინცადამაინც ცეკვა „ქართულის“ თავანკარა კალაპოტში ეკვეხება? ახალ მდინარედ რომ იქცეს და იქ იჩუხჩუხოს, არ გამოვა?

ზოგიერთმა თქვა, ცეკვაც გაპოლიტიკურესო. ზოგადად, ხელოვნება, ცეკვა, მუსიკა, მხატვრობა, ეპოქის აღმნიშვნელია, მისი მისწრაფებების გამომხატველი. ახლა ამას ხელოვნების „გაპოლიტიკურება“ ჰქვია, თორემ ადრეც ასე იყო — ხელოვნების ყოველი ნაწარმოები იმ სოციალურ-პოლიტიკურ ყოფას აღნიშნავდა და აღწერდა, რომელშიც იქმნებოდა, ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება მერეც.

სამწუხაროა, რომ ილიკო სუხიშვილმა, ექსპერიმენტის ობიექტად აქცია ქართული ხალხური ცეკვის სახელით ცნობილი მსოფლიო საგანძური და ამის შემდეგ, ერთი უბრალო ქართველის მიერ სოციალურ ქსელში დაწერილი ქვემოთ მოცემული მოსაზრება ამ „ცეკვაზე“ ლეგიტიმური და სამართლიანი არის თუ არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

— „სუხიშვილების ილიკო ხარ თუ ვინც ხარ, სახე გაქვს გასაფხრეწი იმის გამო რაც იკადრე.

ცეკვა რომ დადგი და მსოფლიოს ანახე მაგის გამო არა!

იმიტო რომ მაგ ცეკვას „ცეკვა ქართული“ უწოდე, ასე გაავრცელე მსოფლიოში და მაგ ცეკვას დაარქვი ქართველების სახე — აი, ამიტომ!“

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— როგორ ხდება ვადების გამოთვლა სამოქალაქო სამართალში?

— საინტერესო შეკითხვაა. თემა აქტუალურია, რადგან ბევრმა არ იცის ვადების საკითხი და უშვებს სერიოზულ სამართლებრივ შეცდომებს. ეს რომ არ მოხდეს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მითითებულს:

— მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით — წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, — მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი — სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე — თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ — თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად — თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

ყველაზე უცნაური დამთხვევები ისტორიაში

ჩვენ მივეჩვიეთ რაციონალურ სამყაროში ცხოვრებას, სადაც ყველა მოვლენას ზურგს სამეცნიერო ბაზა უმაგრებს, ირგვლივ კი ისეთი საოცარი ამბები ხდება, მზად ხარ სასწაულების ირწმუნო, დაიჯერო, რომ ჩვენი ცხოვრება ისეთ კანონებს ემორჩილება, რომლებიც ბოლომდე ამოხსნილი არ არის. ყველაზე უცნაური კი დამთხვევებია, რომლებიც სკეპტიკოსებსაც კი აიძულებს, ყველაფერს სხვა თვალით შეხედონ.

საზღვაო ტრაგედიები

ზღვა ყველაზე ამოუცნობი სტიქიაა და ბევრი უცნაური შემთხვევა უკავშირდება. 1664 წლის 5 დეკემბერს უელსის სანაპიროებთან ბრიტანული სამგზავრო გემი ჩაიძირა. ეკიპაჟის წევრები და ყველა მგზავრი დაიღუპა ერთის გარდა, რომელსაც ჰიუ უილიამსი ერქვა. ზუსტად 121 წლის შემდეგ, 1785 წლის 5 დეკემბერს იმავე ადგილზე ჩაიძირა სხვა ბრიტანული ხომალდი. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი მგზავრი, სახელად ჰიუ უილიამსი გადარჩა.

1898 წელს ამერიკელმა მწერალმა-ფანტასტმა მორგან რობერტსონმა დაწერა რომანი „ამაოება“. მასში აღწერილი იყო საოკეანო ლაინერის „ტიტანის“ დაღუპვა, რომელიც აპრილის ერთ ღამეს აისბერგს შეეჯახა. 1912 წლის აპრილში ზუსტად ამგვარი ტრაგედია მოხდა — პირველივე რეისში გასული „ტიტანიკი“ აისბერგს შეეჯახა და ჩაიძირა.

1939 წელს ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ედგარ ალან პომ დაწერა რომანი „ამბავი არტურ გორდონ პიმის თავგადასავლების შესახებ“. სიუჟეტის მიხედვით, ხომალდზე აჯანყება ხდება, ცოცხალი მხოლოდ ოთხი ადამიანი რჩება. ქარიშხალი გემიდან მთელ სურსათს გადახვეტს და გადარჩენილები შიმშილობენ. ისინი კანიბალები ხდებიან და ჭამენ იუნგას, რომელსაც რიჩარდ პარკერი ერქვა. პო ზედმეტ სისასტიკესა და ნატურალიზმში დაანაშაულეს, მაგრამ დაახლოებით 50 წლის შემდეგ, 1884 წლის 5 ივლისს ბრიტანულმა იახტამ **“Mignonette“**-მ კატასტროფა განიცადა. გადარჩენილები ზღვაში დარჩნენ წყლისა და საკვების გარეშე. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოკლეს და შეჭამეს იუნგა, რომელსაც რიჩარდ პარკერი ერქვა.

ზღვასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ისტორია მოხდა 1966 წელს. პატარა ბიჭუნა როჯერ ლოზიერი ლამის ზღვაში დაიხრჩო. საბედნიეროდ, იგი ქალბატონმა ელის ბლეიზიმ გადაარჩინა. 8 წლის შემდეგ კი, 12 წლის როჯერი იმავე ადგილზე ცურაობდა. მან დაინახა, როგორ იხრჩობოდა მამაკაცი. ბიჭუნამ მისი წყლიდან ამოყვანა შეძლო. ის ელის ბლეიზის მეუღლე იყო...

ორმაგი ბედნიერება

საავტომობილო გზები ჩვენს დროში იმაზე სახიფათო ადგილია, ვიდრე ზღვა გასულ საუკუნეებში და აქ ბევრი ინციდენტი და უცნაური შემთხვევა ხდება.

იტალიელი ჯაკომო ფელიჩე („ბედნიერი“) ერთხელ ღამით მილანის ქუჩაში მიდიოდა მანქანით. მოულოდნელად გზაზე ძალიან სწრაფად მოძრავი ავტომობილი გამოვარდა. ჯაკომო შეჯახების შემდეგ იოლად გადარჩა, ისევე, როგორც მეორე მანქანის მძღოლი, რომელსაც ასევე ჯაკომო ფელიჩე ერქვა...

იტალიაში კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა მოხდა. პოლიციელი დინო კუადრი ავარიაში მოხვდა. მან ფეხის არტერია დაიზიანა, გონება დაკარგა და სისხლისგან იცლებოდა. გვერდით ვინმე ლეონე რეჯანემ ჩაიარა. მან პოლიციელი მანქანიდან გადმოიყვანა, ფეხი შეუხვია, გრძნობაზე მოიყვანა და ამით სიკვდილს გადაარჩინა. სამი წლის შემდეგ კუადრინ ავარია დაინახა. დაზარალებული უგონო მდგომარეობაში იყო და ფეხიდან სისხლი სდიოდა. პოლისმენმა გადაარჩინა დაზარალებული, რომელიც ლეონე რეჯანე აღმოჩნდა.

ამგვარი შემთხვევა მოხდა ამერიკაშიც. ტეხასის მცხოვრები ალან ფოლბი ავარიაში მოხვდა და ფეხზე არტერია დაიზიანა. ის სისხლის დაკარგვისგან გარდაიცვლებოდა, რომ არა ალფრედ სმიტი, რომელმაც ფეხი შეუხვია და სასწრაფო გამოიძახა. ხუთი წლის შემდეგ ფოლბი ავტოკატასტროფის მოწმე გახდა: დამსხვრეული მანქანის გვერდით მძღოლი იწვა უგონო მდომარეობაში, გაგლეჯილი არტერიით. ეს ალფრედ სმიტი იყო, რომელიც ამჯერად ალან ფოლბიმ გადაარჩინა.

მაფეთა ცხოვრება

საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XVI-ს უთხრეს, რომ 21 რიცხვში გარდაიცვლებოდა. მგრძნობიარე მეფე ყოველ 21 რიცხვს თავისი ცხოვრებიდან „შლიდა“ — საძინებელში იკეტებოდა... მას ამან ვერ უშველა. 1791 წლის 21 ივნისს საფრანგეთის რევოლუცია მოხდა, 1792 წლის 21 სექტემბერს მეფის მმართველობა გაუქმდა, 1793 წლის 21 იანვარს კი ლუი XVI სიკვდილით დასაჯეს.

საკმაოდ უცნაური დამთხვევები მოხდა იტალიის მეფის უმბერტო I-ის ცხოვრებაშიც. ერთხელ იგი რესტორანში შევიდა, რომლის მფლობელიც მეფეს ძალზე ჰგავდა და უმბერტო ერქვა. რესტორატორიც 1844 წლის 14 მარტს იყო დაბადებული. მან რესტორანი თურმე სწორედ იმ დღეს გახსნა, როცა მეფე ტახტზე ავიდა. მისტიკური დამთხვევები გრძელდებოდა... 1900 წელს რესტორნის პატრონი ტყვიით მოკლეს. მალევე უმბერტო I ანარქისტმა გაეტანო ბრეშმა მოკლა იარაღიდან გასროლით.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001